# ქუჯი

„... და მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა“

გაზეთის გამოსვლის დღე - ოთხშაბათი

№ 6, 2001 წ. ფასი 40 თეთრი



## მანანა არჩვაძე-გამსახურდია:

„ქართველი ხალხი აღარ დაუშვებს იარაღით ხელისუფლებაში მოსვლას, ქაოსს, ანარქიას, ტერორიზმს... გამარჯვება სიმართლის გარეშე არ არსებობს. ხუნტა დღემდე ებრძვის სიმართლეს და ამ ბრძოლაში საკუთარი თავი ისე გამოააშკარავა, რომ სხვისი ჩარევა ზედმეტად მიმაჩნია.“

გვ. 3-4

## აქტუალური თემა:

ბოლოს და ბოლოს ვინ არის ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური კურსის მემკვიდრე? მიმდევარი?

გვ. 2

## მრუდე სარკე და სინამდვილე

ამ თავშესაფარიდან იმართება კრიმინალური პოლიციაც, პროკურატურაც და ქურდბაცაცური სამყაროც!

გვ. 5

## ქუჯის ფოსტა

ასეთი პარლამენტის თავმჯდომარეზე ამბობს ვახტანგ ბოჭორიშვილი: „პარლამენტში ზურაბი ყველაზე პატიოსანი კაცია“

გვ. 6

## პრესკონფერენციის მასალები

„ჩვენს ჟურნალისტს თავს დაესხნენ და სასტიკად სცემეს. იმავე დღეს კი კოლხური კოშკიდან გამოსულ დეპუტატს რ. კემულარიას და გამგეობის წევრ გდარსალიას უცნობი პირები განდალურად გაუსწორდნენ; ექსპერტიზამ მათ თავის ტვინის მძიმე ტრამვა დაუდგინა, კრწანისის საგამომძიებლო ჯგუფის ხელმძღვანელის შეყლაშვილის მოსაზრებით კი მათ ერთმანეთს თავად სცემეს“.

გვ. 4

## ჩვენი რწმენა

„მარხვა ეხმარება ადამიანს, აღიდგინოს სულიერ ძალთა იერარქია. ადამიანი წინ უნდა აღუდგეს ზედმეტი განცხრომის სურვილს, ხშირია შემთხვევა, როდესაც მას მთავარი ყურადღება გადატანილი აქვს მხოლოდ საკვების შეზღუდვაზე, მთავარი კი ავიწყდება - სულიერი მარხვა“.

გვ. 7

კარიკატურული კომენტარები ღლევანდელ სახელმწიფო მოხელეთა თუ პოლიტიკოსთა გამონათქვამების შესახებ

გვ. 8

## აქტუალური თემა

# ბოლოს და ბოლოს ვინ არის ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური კურსის მემკვიდრე, მიმდევარი?

*პოლიტიკური. მემკვიდრეობა არ განისაზღვრება ოჯახის წევრობით, ძმაკაცობით, ერთად სურათის გადაღებით, მით უმეტეს, ყოფილი თანამებრძოლობით!*

*პოლიტიკური მოღვაწის გზის გაგრძელება მხოლოდ თანამოაზრეებს ძალუძთ...*

*ახლა კი კონკრეტულად, როგორი იყო ზვიად გამსახურდიას კურსი და ვინ აგრძელებს დღეს მას?*

ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და "აქტიური ნეიტრალიტეტი," შეეცადა დაემკვიდრებინა კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობა, წინ წამოსწია საქართველოსათვის ტრადიციული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებები და ევროპული ფასეულობანი, საქართველოში მყოფი რუსული ჯარი გამოაცხადა საოკუპაციო ძალად და შექმნა ქართული გვარდია, გამოაცხადა გარდამავალი ეკონომიკური პოლიტიკა და მოსახლეობა დაიცვა "შოკური თერაპიის" მძიმე შედეგებისაგან.

...ყოველივე ამის გამო რუსეთის იმპერიის მაშინდელმა ხელისუფლებამ კომუნისტების, კრიმინალებისა და ე.წ. "კონგრესმენების" დახმარებით საქართველოდან განდევნა გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება, შექმნა ხუნტა, რომლის მიერ დანიშნულ-ჩატარებული ფსევდოარჩევნებით წარმოქმნილმა მთავრობამ საქართველო ხალხის დაუკითხავად შეიყვანა დსთ-ში, რუსეთის ჯარს მიანიჭა "მეგობრის" სტატუსი, საქართველოს მოსახლეობის სახელით აიღო მილიარდობით ვალი და მიითვისა, გააჩუქა ტერიტორიები, საწარმოები, წარმოების საშუალებები და ა.შ.

საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია საქართველოსათვის საციცოცხლო აუცილებლობად მიიჩნევდა პოლიტიკური ანდერძი (ან დაარღვევენ მას!). ფართო საზოგადოებრიობაც დროა გაერკვეს ისეთ პოლიტიკოსთა ფარისევლობაში, რომელთაც საკუთარი ავტორიტეტი არ გააჩნიათ და ეფარებიან გიორგი ჭყონდიდლის, ილია ჭავჭავაძის, კონსტანტინე გამსახურდიას, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას სახელებს.

კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის შენარჩუნებასა და აღდგენას, ამიტომაც ანდერძად დატოვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შენარჩუნება სამართალმემკვიდრე არჩევნების დანიშვნა-ჩატარებამდე და უკანონო არჩევნების ბოიკოტი...

გამომდინარე აქედან:

ზვიად გამსახურდიას სახელით მოქმედება-მოღვაწეობის უფლება არა აქვთ იმ პოლიტჯგუფებს, რომელთაც პუტჩისტების მემკვიდრე უკანონო არჩევნებში მონაწილეობის მიღებით დაარღვიეს ზვიად გამსახურდიას განვმარტავთ:

დღეს საქართველოში ორხელისუფლებიანობაა:

არსებობს, ერთი მხრივ, პუტჩისტების მემკვიდრე დე ფაქტო ხელისუფლება, რომელსაც ამჟამად წარმოადგენენ: მოქალაქეთა კავშირი, აღორძინება, მრეწველები, ტრადიციონალისტები, XXI საუკუნე ჭყონდიდელითურთ, სოციალისტები და ლეიბორისტები, მეორე მხრივ, დე იურე ფუნქციონირებს 1992-93 წლებში ხელისუფლებიდან იარაღის ძალით განდევნილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელიც მთლიანობაში ინარჩუნებს პრეზიდენტ გამსახურდიას ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობას.

ამგვარად, ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური კურსის მომხრედ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ და მხოლოდ ის ძალა, რომელიც მხარს უჭერს უზენაეს საბჭოს და ზრუნავს მისი სამართალმემკვიდრეობის აღდგენა-გაგრძელებისათვის... აქვე კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ სწორედ ამ სამართალმემკვიდრეობის საფუძველზე უმტკივნეულოდ მოხდება ხუნტის მიერ ანტიქართული სახელმწიფოებრივი ხელშეკრულებების დენონსირება და ხალხისათვის წართმეული ქონების დაბრუნება.

ამჟამად საქართველოში მოღვაწე პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის „მრგვალი მაგიდა" ერთადერთია, რომელიც მშვიდობიანი გზებით იბრძვის კანონიერი სამართალმემკვიდრეობის აღდგენისათვის. „მრგვალი მაგიდის" სპიკერია ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თანამებრძოლი და თანამოაზრე მანანა არჩვაძე-გამსახურდია; "მრგვალი მაგიდა" დღემდე ბოიკოტს უცხადებს ფაქტობრივ ხელისუფლებას, მის უკანონო არჩევნებს და იბრძვის უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობის აღდგენა-გაგრძელებისათვის.

**ტარიელ ფუტკარაძე**
საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის
წევრი

## დისკუსია

*სადისკუსიო თემა –რა მიმართულებით "მოძრაობს" ე.წ. "საპარლამენტო და გარეოპოზიციური ძალების ალიანსი?"*

**(დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, დე ფაქტო პარლამენტისა და ე. წ. გარეოპოზიციის წარმომადგენლებს; ამჯერად გთავაზობთ საუბარს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთან ბ-ნ ბიმურზა აფრასიძესთან)**

*- ბატონო ბიმურზა, ცხადია, საქართველოს უზენაესი საბჭო და "მრგვალი მაგიდა" ფხიზლად ადევნებენ თვალს ყველა პოლიტიკურსა და სოციალურ მოვლენას, რომელსაც ადგილი აქვს დღევანდელ საქართველოში. ამიტომ ყურადღების მიღმა არ დარჩებოდა არც ახალი გაერთიანება, რომლიც ჯერ მთლად არ მოუნათლავთ, მაგრამ აქა-იქ გავრცელებულ მოწოდებებში საკუთარ თავს "საპარლამენტო და გარეოპოზიციურ ძალთა ერთობლივ" კავშირად იხსენიებს. როგორ შეფასდა ეს ალიანსი თქვენთან?*

- როგორც ჩანს, დადგა საკითხი კლანური ე.წ. ხელისუფლების გადარჩენისა და ამიტომ ყველა ძალას მოუხმო ამ კორუფციონერთა და მაფიოზთა ხელისუფლებამ. მათ წინაშე საკითხი დგას ასე: რა გზით შეიძლება შევარდნაძის ხელისუფლების გადარჩენა? ერთი პიროვნების, შევარდნაძის, გადაყენება სახალხო მოთხოვნით, ანუ "მილოშევიჩის ვარიანტით" პოლიტიკიდან გაიყვანს შევარდნაძეს, მაგრამ სხვა ყველაფერს უცვლელად დატოვებს. (შევარდნაძემ დასავლეთის იმედები არ გაამართლა და ბოლო ხანებში მკვეთრი შემობრუნება გააკეთა რუსეთისაკენ, ამის გამო მას დასავლეთის სამყარო აღარ სწყალობს და მოგეხსენებათ, ინვესტიციები და დახმარებები შეუწყვიტეს. შევარდნაძე ბოლო ხანებში ბელორუსიის ვარიანტის მომხრეა და ეს გარკვეული ძალებისათვის არასასურველია. შევარდნაძეს უნდა "ხავერდოვანი გზით" წასვლა აქედან, მისი კლანური ძალები კი შენარჩუნდება. ამ საფუძველზე იწყება ის ვითომ სახალხო მოძრაობა, რომელმაც უნდა შექმნას ფონი შევარდნაძის "ხავერდოვანი" წასვლისათვის. თუმცა შევარდნაძე როგორც პოლიტიკური ფიგურა დაცლილი და კომპრომეტირებულია პოლიტიკურად და დღეს თუ არა, ხვალ ისედაც გავა სარბიელიდან.

*- თქვენ ბრძანებთ, რომ დასავლეთი აღარ სწყალობს შევარდნაძეს, მაგრამ დღეს თვალნათლივ არც რუსეთის მხრიდან ჩანს ამ პოლიტიკურად გაკოტრებული პირისადმი დიდი გულშემატკივრობა.*

- ფაქტობრივ, შევარდნაძე დღესაც რუსეთის კაცად რჩება და კომუნისტურ-მაფიოზური კლანები (ვისი კადრიც ის არის, ვინაც ის მოიყვანა ხელისუფლებაში), ახლაც ამზადებინებენ მას ფარული კომუნისტური ნომენკლატურიდან აშკარა კომუნისტურ ხელისუფლებაზე გადასვლას და საქართველოს რუსეთთან დაბრუნებას. ამიტომ იგი ცდილობს, რომ დასავლეთს აჩვენოს, რომ აქ არის ძლიერი კომუნისტური პარტია, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს. ამიტომ ახდენს ამ ძალების დემონსტრირებას და 200-დან 500 კაცამდე კომუნისტის მიტინგს სხვადასხვა რაკურსით აჩვენებს, რომ 20000-იანად წარმოადგინოს.

*- როგორც თქვენ ბრძანებთ, ხელისუფლების მიერ დადგმულ "ცრუმოძრაობებს" მაინც აქვს ხალხის ფონი; მცირეა, მაგრამ ხალხია, ესაა სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის პატარ-პატარა ჯგუფები, რომლებიც გულწრფელნი არიან არსებული რეჟიმით უკმაყოფილებაში, მაგრამ ცდებიან ამ პროტესტის რეალიზაციისას. ცხადია, ღიმილის მომგვრელია სტალინის ძეგლთან ფანდურზე მომღერალი მოხუცებულის მოსმენა, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს არის სრულიად უწყინარი ადამიანი, რომელსაც არასწორად ესმის მოვლენები. როგორ ფიქრობთ, ეს შეცდენილი ხალხი რამდენად დაკარგულია საქართველოსათვის?*

- ასეთი მონური დამოკიდებულება არ არის სისტემატური და ამისი აფიშირება არ შეიძლება, რადგან არ იქნება ობიექტური ვითარების ასახვა, მაგრამ, ალბათ, ესეც რეჟიმის მიზანია, რომ მთავარი მისწრაფება მოსახლეობისა ამგვარი ცალკეული მომენტებით მიჩქმალოს.

*- ბატონო ბიმურზა, დღეისათვის, ყველაზე ახალი ფაქტი გახლავთ გარეგნულად სრულიად შეუთავსებელი მიმართულებების მქონე პარტიებისა და ჯგუფების ალიანსი; მათ უკვე გააკეთეს განაცხადი დედაენის ძეგლთან 7 მარტს და კვლავ შეიკრიბნენ იქვე სულ რამდენიმე დღის წინ, 15 მარტს.*

- ჩვენ შევთანხმდით, რომ საუბარი



გვექნებოდა ფაქტების ენაზე. ამ ახალ ძალთა გაერთიანების ლიდერებთან დაკავშირებით გავიხსენოთ: საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრეს-სამსახურის განცხადება სათაურით" პუტჩის კრახი საქართველოში". დოკუმენტი ეხება აგვისტოს (რუსეთის) პუტჩს (1991წ .31 აგვისტო, დაიბეჭდა 3 სექტემბერს, "საქართველოს რესპუბლიკაში"). ჩავიკითხავ მსჯელობას გოგი ხოშტარიაზე, რომელიც ეროვნული მოძრაობის წევრად აცხადებს თავს და გადატრიალებაში მონაწილეობას უარყოფს: "ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ხოშტარია არ ჩამორჩება სიგუას დემაგოგიასა და სიცრუეში". ხოშტარიას საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადაყენებასთან დაკავშირებით კი ნათქვამია:"...რომელმაც სიგუასთან დაამყარა ალიანსი და ფაქტობრივი დაუმორჩილებლობა გამოუცხადა პრეზიდენტს, მასთან შეუთანხმებლად დგამდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ნაბიჯებს, არასოდეს წარმოუდგენია მასთან ანგარიში უცხოეთში ვიზიტის შესახებ. არ მოუმზადებია პრეზიდენტის ვიზიტი არც ერთ ქვეყანაში, ნიადაგ თავისა და თავისი მეუღლის მოგზაურობაზე ზრუნავდა...მაგრამ მთავარი ის არის, რომ უნებლიეთ თავად აღიარებს საქართველოს მტერთან, რენეგატ შევარდნაძესთან,... ურთიერთობა პრეზიდენტის გარეშე მოსკოვში, მასთან შეხვედრები, ჩურჩული, ალიანსი, რამაც საბოლოოდ იგი მიიყვანა თენგიზ სიგუას ოპოზიციურ ბანაკში..."; მეორე ლიდერზეც მოგახსენებთ, ეს გახლავთ ყოფილი პოლიტპატიმარი ძიძიგური, რომელმაც 15 მარტს ტელევიზით გამოსვლისას ინგა გრიგოლიასთან საუბარში განაცხადა, რომ მათი მთავარი კონსტრუქციული წინადადება ყოფილა შემდეგი: "ჩვენ უნდა მივაღწიოთ, რომ დემოკრატიული საარჩევნო კანონი იქნას მიღებული." რადიო "თავისუფლებისთვის" მიცემულ ინტერვიუში 14 მარტს განაცხადა": ჩვენ არა ვართ ზვიადისტები". ძალიან კარგი. მართლაც, ისინი ზვიად გამსახურდიას ეროვნულ მემკვიდრეობას არ მისდევენ...

*- ალბათ, ძალიან კარგი იქნება, თუკი ისინი თავს დაანებებენ ზვიად გამსახურდიას და საკუთარი სახელითა და საკუთარი ავტორიტეტით დაენახვებიან ხალხს..*

- ამ ჯგუფმა ნემო ბურჭულაძის, დანგაძის, ლია ანდღულაძის, რობერტ პეტრიაშვილისა და სხვათა შემადგენლობით 1998 წლის 21 ნოემბერს, იმის საპასუხოდ, რომ თბილისში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ფუნქციონირების დაწყების საპასუხოდ (მოგეხსენებათ, 1998 წლის 14 ნოემბერს ჩაატარდა სესია) გააკეთა განცხადება, რომ თითქოს უზენაეს საბჭოს გაუვიდა ვადა, ე.წ. "პრეზიდიუმელებმა" (რომლებიც გადარჩეულნი იქნენ სამართლებრივი და კონსტიტუციური ნორმების დაცვით) უზენაესი საბჭო გამოაცხადეს ვადაგასულად და ამით სამსახური გაუწიეს შევარდნაძეს, რომელიც უზარმაზარ თანხებს ხარჯავდა სამართლებრივად თუ ფიზიკურად უზენაესი საბჭოს მოსასპობად, ანუ ლეგიტიმური ხელისუფლების ლიკვიდაციისათვის...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ინტერვიუ კოლხურ კოშკში

# მანანა არჩვაძე-გამსახურდია:

## ფიტულებისაგან პოლიტიკური ფიგურები შექმნეს, მედროვეებისაგან – კომერსანტები და ბიზნესმენები

*- ქალბატონო მანანა, საქართველოს დღევანდელი "დე ფაქტო" ხელისუფლება სრულიად გაკოტრდა და მისი კრახი გარდაუვალია. ამას გრძნობს ყველა, თვით ყველაზე დიდი სკეპტიკოსიც კი. რამ ჩააგდო ამ დღეში "ასეთი რიხით" მოსული ხუნტა, რომელსაც, როგორც გვახსოვს, "მაგარი ზურგი" ჰქონდა?*

- ძალადობით მოსული ნებისმიერი სახელმწიფო ხელისუფლება მიუღებელია მოსახლეობისათვის მის მიერ გამოყენებული "ბრძოლის" ფორმების გამო. საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღებულია დემოკრატიული ფორმა ბრძოლისა, რაც საშუალებას აძლევს ნებისმიერი სახელმწიფოს მოქალაქეს, არჩევანი გააკეთოს მისთვის სასურველ პოლიტიკურ ძალაზე, რომლის შედეგებიც შესაძლებლობას აძლევს გამარჯვებულ პარტიას თუ პიროვნებას კანონიერად მართოს სახელმწიფო.

საქართველოსთან მიმართებაში "დე ფაქტო" ხელისუფლება, მისი ე.წ. ხელმძღვანელიდან დაწყებული ნებისმიერი უწყების წარმომადგენლით დამთავრებული, მოსახლეობაში დაფიქსირდა როგორც მოძალადე, რომელმაც უარყო ბრძოლის პროგრესული მეთოდი, უცხო ძალის გამოყენებით დაამხო ხალხის მიერ არჩეული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ხელისუფლება, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ყველა ინსტიტუტი.



ამ გზით ხელისუფლებაში მოსული ნებისმიერი ძალა იმთავითვე გაკოტრებულია პოლიტიკურად, მას არ ძალუძს მოსახლეობის არც ერთი ფენის მიმხრობა, ვინაიდან იგი არ სარგებლობს ავტორიტეტით. უავტორიტეტო მოძალადე, სახელმწიფო კონსტიტუციისა და ნებისმიერი საკანონმდებლო აქტის უარმყოფელი, რომელიც არ ითვალისწინებს მოსახლეობის ინტერესებს, თავის პოლიტიკურ მოღვაწეობას კრახით ამთავრებს. ეს გახლავთ საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური სახე, რომელიც გადაჯაჭვულია ეკონომიკასთან. ასე რომ, პოლიტიკური და ეკონომიკური კრახი უნდა განვიხილოთ ერთ ჭრილში, ეს გარდაუვალი პროცესია.

*- რამდენადაც ხუნტის კრახი კანონიერების აღდგენის დღეს აახლოებს, პოლიტიკური თვალსაზრისით დღევანდელი ვითარება შეიძლება პოზიტიურადაც შეფასდეს, მაგრამ ამ კრახს მოსახლეობის ისეთი ტანჯვა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისეთი კრიზისი ახლავს, რომ შიში გვიპყრობს, მოხერხდება კი ამ ყოველივეს გამოსწორება?*

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე არა მარტო საქართველოს მოსახლეობის, არამედ მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია, რაც უდიდესი ფაქტორია. მისი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის სწორად წარმართვას საქართველო ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ შეეძლო წარმოეჩინა არა მარტო კავკასიაში, არამედ მსოფლიოში. სამწუხაროდ, "დე ფაქტო" ხელისუფლების მიზანი გახლავთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოშლა, რაც ქვეყანას სხვაზე დამოკიდებულს გახდის და რაც შესანიშნავად განახორციელეს კიდეც. საბოლოოდ საქართველო იქცა სატრანზიტო ავტომაგისტრალად, დერეფნად, საიდანაც 10 წლის განმავლობაში ყოველდღიურად გაედინება ყველა საარსებო საშუალება, რომელიც გარკვეული კლანების გამდიდრებას ისახავს მიზნად. ეს პროცესი ისე გაღრმავდა, რომ მოსახლეობა უკიდურესად გაღატაკდა. აქედან გამომდინარე, დღევანდელი "ობიექტური აღიარებები" მხოლოდ ორთქლის გამოშვებაა, რითაც ცდილობენ მოსახლეობის დამშვიდებას, რათა ხელისუფლებაში ყოფნა გაიხანგრძლივონ. ეს იაფფასიანი მეთოდია; მათი კეთილისმსურველი (რომ ჰყავდეთ ვინმე ასეთი) ურჩევდა, მორიდებოდნენ მოსახლეობის გაღიზიანებას და ხელისუფლებიდან წასულიყვნენ, რაც შესაძლოა მათთვის ბევრად უფრო მომგებიანი აღმოჩნდეს, ვიდრე მათგან შემოცურებული ცრუ შერიგების პროცესი. დამნაშავე ხელისუფლება "ირიგდება" ერთადერთი მიზნით, რომ გაიხანგრძლივოს არსებობა. მაშასადამე, თავად ყოფს მოსახლეობას დამნაშავეებად და უდანაშაულოებად (ჩაგრულებად). ამ შემთხვევაში პრიორიტეტი მოსახლეობას ეკუთვნის და არა დამნაშავეს. ამგვარი იაფფასიანი ხერხებით ვერაფერს მიაღწევენ, მათ საზოგადოებაში სიძულვილი დათესეს, რასაც დღეს იმკიან...

*- მოსახლეობა დაძაბული ადევნებს თვალს პროცესებს და ცდილობს გამოიცნოს, ვინ მოვა სათავეში. ხალხი იმასაცაა მიჩვეული, რომ სიმართლე ყოველთვის ვერ იმარჯვებს. ამიტომ დღეს აქტიურ პოლიტიკურ პარტიებს შორის ზოგთან ძალაა, ზოგთან – "ზურგი", ზოგთან – აწმყო, ზოგთან –..., თქვენთან სიმართლეა, რამდენად კმარა ეს გამარჯვებისათვის?*

- რაც შეეხება იმ საკითხს, თუ ვინ მოვა ხელისუფლების სათავეში ეს ეჭვს არ იწვევს. მოვა ის, ვინაც გაიმარჯვა 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში, ვისაც ხალხმა ნდობის მანდატი გადასცა; ჭეშმარიტებას, სიმართლეს, კანონს, კონსტიტუციას წინ ვერავინ აღუდგება, ქართველი ხალხი აღარ დაუშვებს იარაღით ხელისუფლებაში მოსვლას, ქაოსს, ანარქიას, ტერორიზმს, კრიმინალურ მდგომარეობას, სახელმწიფოს ძარცვას, კლანური მაფიის პარპაშს. გამარჯვება სიმართლის გარეშე არ არსებობს. ხუნტა დღემდე ებრძვის სიმართლეს და ამ ბრძოლაში საკუთარი თავი ისე გამოააშკარავა, რომ სხვისი ჩარევა ზედმეტად მიმაჩნია.

*- რა პოლიტიკური სვლებია მოსალოდნელი ოფიციოზისაგან უახლოეს ხანებში (დათმობა, რეპრესიები, ტერორი, გარდაქმნა)?*

თქვენს მიერ წარმოდგენილი ვერსიები ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ იმის დასადგენად, თუ რომელია მომგებიანი მისთვის:

დათმობა – დღევანდელი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან ხუნტას სხვა არაფერი დარჩა, თავად უნდა დათმოს პოზიციები, საკუთარი ბიუჯეტი დღითიდღე წამგებიან მდგომარეობაში აყენებს.

რეპრესიები – აქამდე ჩატარებული რეპრესიებით რა მოიგეს, მდგომარეობა დროებით შეინარჩუნეს, სამაგიეროდ, მთელი მსოფლიოსათვის "მისაბაძი" სახელმწიფო აღმოჩნდა საქართველო, რომელსაც ყველაზე ბევრი ტუსაღი ჰყავს.

ტერორი – ტერორით მოვიდნენ, რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს მოსახლეობის ამგვარი გენოციდი? ავიღოთ თუნდაც სამხედრო-საველე სასამართლო, რომელიც 1992-1997წლებში მთელი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებდა. მას ყველასათვის, განურჩევლად მრწამსისა, სასტიკი განაჩენი გამოჰქონდა. დღესაც ტერორი ბატონობს; პასუხისმგებლობას სად გაექცევიან, საქართველო ხომ ერთ მუჭა ბანდას არ ეკუთვნის. დაზღვეულნი არიან, რომ მოსახლეობა იმავე მეთოდს არ გამოიყენებს მათ წინააღმდეგ? სავარძლებით ხომ არ დაბადებულან. ჩემი აზრით, ისინი აქამდე ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვაზე უნდა ფიქრობდნენ, არამც თუ მდგომარეობის გამწვავებაზე.

გარდაქმნა – ჩემთვის ეს მიუღებელი სიტყვაა. კომუნისტებმა სათავისოდ შემოაცურეს საზოგადოებაში "გარდაქმნა", რომელიც მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა გულწრფელად აიტაცა. გარდაქმნის მაგალითი სახეზეა – დღევანდელი ე.წ. ხელისუფლება სახელშეცვლილი კომუნისტებით, თავიანთი მემკვიდრეებითა და სანათესაო კლანებით, რომლებიც ღიად მოქმედებენ და არავის ინდობენ, რათა არ დაკარგონ ზეგავლენის სფერო.

*- უზენაესი საბჭო დღეს დარაზმულია "კოლხურ კოშკთან", მაგრამ ვიცით, რომ არსებობს რამდენიმე სხვაგან (სად?) მდგომი დაჯგუფება: "მოსკოვის ჯგუფი", "ემიგრაციული (თუ ნაემიგრანტალი) ჯგუფი" და "ალორძინების ჯგუფი". მათგან რა არის მოსალოდნელი?*

- საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა დგას "კოლხურ კოშკთან". აქ არის ყველა ჭეშმარიტი ქართველი, ვისაც სწამს, რომ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობას ვერავინ გაექცევა, იგი ჭეშმარიტი და აუცილებელი ფორმაა სახელმწიფოს არსებობისა. საქართველოში არსებული ყველა პრობლემის მოგვარება მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების აღდგენას უკავშირდება. საქართველომ გამოსცადა, თუ რა შესძლო წელიწადსა და სამ თვეში ეროვნულმა ხელისუფლებამ. ხუნტამ ჩვენი პოლიტიკური მემკვიდრეობა ისე მიითვისა, რომ საქმეში ჩაუხედავი პიროვნება შეიძლება დაეჭვდეს კიდეც იმაში, თუ ვინ არის მისი კანონიერი მფლობელი. კანონიერი ხელისუფლების ძალისმიერ დამხობას მოჰყვა ეროვნული ფასეულობების ნებაყოფლობითი ჩაბარება"თანამდებობის" შენარჩუნების მიზნით. რაც შეეხება დაჯგუფებებს, კვლავ მოქმედებს კომუნისტების აპრობირებული მეთოდი, ზოგს მოსკოვში ჰყავს მფარველი და მისი იმედით აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას, ზოგს – ევროპაში, ზოგი ამერიკის იმედით ცოცხლობს. რაოდენ სავალალოა დაჯგუფებების ხელმძღვანელთა სირბილი სასტუმროებსა და საელჩოებში, სადაც"მფარველებს"ყველაფერს სთავაზობენ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ერთადერთი, რასაც ანგარიშს არ უწევენ, საქართველოა, რომლის ბედი მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს. მფარველებით მოსულმა ე.წ. ხელისუფლებამ რა ბედნიერებაც მოგვიტანა, ამის შედეგი სახეზეა.



რას უნდა მოველოდოთ მათგან? კარგს არაფერს, ადგილი ექნება ათასგვარ პროვოკაციებს, სპექტაკლებს, მოსახლეობის დასაბნევად "მიტინგების" რეკლამებს, რასაც ისეთივე ფიასკო ელის, როგორიც მანამდე დაგეგმილმა და განხორციელებულმა "ღონისძიებებმა"განიცადეს. თუნდაც ბოლო დღეების სპექტაკლი რად ღირს. ერის გამთლიანება-შერიგების ლოზუნგით გამოვიდნენ ავტომატითა და რუსის ჯარით ზურგგამაგრებული დამნაშავეები, რომელთა საზოგადოებაში გამოჩენა დანაშაულია. სამწუხაროდ, ეს კატეგორია მოძალადეთა ჯგუფს მიეკუთვნება, რომელთა "საგმირო საქმენი" ყველასათვის ცნობილია. ყოფილი "ტუსაღები", პარტნომენკლატურის, ცკ-ს ბიუროს წევრები, კანონიერი ხელისუფლების დამამხობელნი და, ზვიად გამსახურდიას მონაპოვარით მოვაჭრენი ერის ჭირისუფლებად გვევლინებიან. ისინი ხომ ყოველთვის ერთად იყვნენ, ვისთან ერთიანდებიან, ანტონიანთან თუ შევარდნაძესთან? ეს ხომ ცკ-ს კანცელარიისა და ე.წ. პარლამენტის ერთობლივი სცენარია კანონიერი ხელისუფლების მიერ ჩატარებული სესიების გასანეიტრალებლად. ყველასათვის შესამჩნევი გახლდათ ერთი მთავარი ფაქტორი – გამომსვლელების მხრიდან არ გაჟღერებულა სამართალმემკვიდრეობის აღდგენის მოთხოვნა, რის გარეშეც საქართველოში ქაოსი და ანარქია უსასრულოდ გაგრძელდება. მათი ინტერესები თანამდებობის მიღებასა და შენარჩუნებას არ სცილდება. სამარცხვინო იყო ყალბი ლოზუნგებით ხალხის დამოძღვრა შევარდნაძის შეკვეთილ მიტინგებზე, სადაც დევნილის სახელის მოსაპოვებლად სცენარის ავტორებს დაავიწყდათ მღებრიშვილის სამსახური, რომელსაც მომავალ დაგეგმილ მიტინგებზე დამამხობელ ვეტერანებთან ერთად ვიხილავთ. რაც შეეხება თქვენს კითხვას, 7 მარტს ამ ჯგუფებმა თავად გასცეს პასუხი.

*- რამდენად შესაძლებელია დღევანდელი მოსახლეობის კონსოლიდაცია ხელისუფლების ათწლიანი დამანგრეველი მუშაობის შემდეგ?*

ხუნტა კანონიერი ხელისუფლების დამხობის დღიდან მოსახლეობის დამუშავებას ეწევა: ფიტულებისაგან – პოლიტიკური ფიგურები შექმნეს, მედროვეებისაგან – კომერსანტები და ბიზნესმენები, დამნაშავეები სადამსჯელო სტრუქტურებში გაანაწილეს, "მეამბოხე" ცრუ პოლიტიკური პარტიები გვერდში ამოიყენეს, რომელთაც საქართველოს მოსახლეობის კუთვნილი კრედიტებისა და ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი დამსახურებისამებრ გაუნაწილეს, რითაც სამუდამო მევალეებად აქციეს. ტუსაღების გარკვეული ნაწილი ზვიად გამსახურდიას მომხრეებად მონათლეს და დღეს "აქტიურ" მართვად პოლიტიკაში ჩართეს. პრეზიდენტის სახელით მოსახლეობაში სპეკულირებენ, რაშიც დიდ როლს თამაშობს კანცელარიისადმი მორჩილებაში მყოფი მასმედიის გარკვეული ჯგ-

გაგრძ. მე-4 გვ.

## ინტერვიუ კოლხურ კოშკში

დასაწყისი მე-3 გვ.

უფი.

ნურავინ იფიქრებს, რომ ჩამონათვალში დაფიქსირებული ჯგუფები პოლიტიკურ ამინდს შექმნიან საქართველოში. პირიქით, ამით მოსახლეობას საშუალება ეძლევა შეაფასოს რეალური სიტუაცია.

რაც შეეხება ოპოზიციურ ძალას, რომელიც უკომპრომისო ბრძოლას ეწევა ხუნტის წინააღმდეგ, გახლავთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა "მრგვალი მაგიდა", რომელსაც მხარს უჭერს საქართველოს მოსახლეობის 80%-ზე მეტი.

რაც შეეხება ერის კონსოლიაციას, "მრგვალმა მაგიდამ" მემორანდუმით მიმართა საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ პარტიასა და კერძო პირს და მზადაა პირდაპირ, საჯარო დიალოგში ჩაება ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან, ვინც გმობს ხელისუფლების ძალადობით ცვლას და აღიარებს ორხელისუფლებიანობას.

*- ცხადია, დღევანდელი საქართველო საერთაშორისო პოლიტიკის ინტერესების მიღმა ვერ დარჩება. როგორია ამ მხრივ თქვენი პროგნოზები; რას უნდა ველოდოთ რუსეთისაგან, მან ხომ ერთხელ უკვე წაგვართვა დამოუკიდებლობა, ახლაც იმავეს ეცდება? ან როგორი იქნება ევროპა-ამერიკის პოზიცია, მათ ხომ ერთხელ (და არა ერთხელ) უკვე მიგვატოვეს რუსეთისა და ხუნტის ანაბარა.*

- შევარდნაძე რუსეთისა და ამერიკელი პოლიტიკოსებისათვის იმით იყო მისაღები, რომ სსრკ-ს საგარეო მინისტრად ყოფნისას თავისი უეროვნობა დაამტკიცა, მაგრამ შემდეგ, როცა ამერიკელ პოლიტიკოსთა ყველა დავალება პირნათლად შეასრულა, რუსეთი განურისხდა. ამჟამად იგი დაჟინებით ცდილობს ორივე სახელმწიფოს გულის მოგებას, მაგრამ აღარ ენდობიან. დღეისათვის ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში აშკარად იგრძნობა, რომ ყურადღებით ადევნებენ თვალყურს კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. რეალურად შეაფასეს 1991-1992 წლების ტრაგედია. აშშ-ის პოლიტიკაში შეიმჩნევა ობიექტურობის ნიშნები, რაც ამზადებს ნიადაგს ამ ორი სახელმწიფოს თანამშრომლობისათვის. რუსეთში კი სიტუაცია უფრო რთულია, რამდენადაც რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფლების პოზიციები საქართველოსთან მიმართებაში ჯერ ბოლომდე არ არის გამჟღავნებული, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რუსეთს მოუწევს საქართველოს კანონიერ ხელისუფლებასთან ერთად დაჯდომა და იმ დოკუმენტაციის გადასინჯვა და გაუქმება, რომელსაც რუსეთმა საქართველოს ხუნტასთან ერთად მოაწერა ხელი. უამისოდ საქართველო-რუსეთის ურთიერთობები მუდამ სადავო და საორჭოფო იქნება.

ჩვენ პატივს ვცემთ ყველა მშვიდობისმოყვარე ერს, მის ენას, ალმსარებლობასა და კონსტიტუციას და ვგეგმავთ ურთიერთხელსაყრელ დიპლომატიურ, ეკონომიკურსა და კულტურულ ურთიერთობებს.

„ქართველი ხალხი აღარ დაუშვებს იარაღით ხელისუფლებაში მოსვლას, ქაოსს, ანარქიას, ტერორიზმს... გამარჯვება სიმართლის გარეშე არ არსებობს. ხუნტა დღემდე ებრძვის სიმართლეს და ამ ბრძოლაში საკუთარი თავი ისე გამოააშკარავა, რომ სხვისი ჩარევა ზედმეტად მიმაჩნია."

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ესაუბრა მანანა ტაბიძე

## პრესკონფერენციის მასალები

•••

2001 წლის 8 მარტს სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი კერვალიშვილმა გამართა პრესკონფერენცია. ადამიანის უფლებათა დამცველის აზრით, საქართველოში მძვინვარებს პოლიტიკური ტერორი, რომელიც მიმართულია პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ. ხდება ე.წ. უცნობი პირების დახვედრა ჟურნალისტებზე, ადამიანის უფლებათა დამცველებზე, პოლიტიკური პარტიის წევრებზე და ა.შ. სულ 2000 წლის 1 იანვრიდან დღემდე 10 შემთხვევა დაფიქსირდა, რომელთაგან არც ერთი არ არის გახსნილი სამართალდამცავების მხრიდან.

აქვე გთავაზობთ მის რამდენიმე სხვა კომენტარს:

### თავდასხმა დეპუტატებზე

ამა წლის 3 მარტს, საღამოს 8 საათზე „კოლხურ კოშკში" გამართული სესიიდან ბრუნდებოდნენ უზენაესი საბჭოს დეპუტატი რევაზ კემულარია და ცხუმ-აფხაზეთის ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრი ვასილ დარსალია. მეტრო „რუსთაველთან" მათ თავს დაესხნენ უცნობი პირები. მძიმე საგნის თავში ჩარტყმისა და გათიშვის შემდეგ სცემეს და მიიმალნენ. დაზარალებულები მოათავსეს ქალაქის რესპუბლიკურ საავადმყოფოში დიაგნოზით: თავის ტვინის მძიმე ტრამვა და დაბეჟილობები. ამ საქმეს იძიებს მთაწმინდა-კრწანისის საგამომძიებლო ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელია შეყლაშვილი. მისი აზრით, დარსალიამ და კემულარიამ ერთმანეთი თვითონ სცემეს. დაზარალებულები 50 წელს მიღწეული მამაკაცები არიან და აფხაზეთიდან დევნილები. ეს ხომ გაუგონარი დაცინვაა - ამბობს გიორგი კერვალიშვილი.

### „მრგვალი მაგიდის" პრესცენტრის ჟურნალისტს სასტიკად გაუსწორდნენ

იმავე დღეს 3 სთ-ზე „მრგვალი მაგიდის" პრესცენტრის ჟურნალისტს კლარა ლეჟავასაც გაუსწორდნენ. მას სცემდნენ შეძახილებით „შე ზვიადისტო". ქალბატონი კლარა ირწმუნება, რომ ამოიცნობს თავდამსხმელებს. საქმე იმაშია, რომ „კოლხურ კოშკში" დაიწყო მოქმედება 10 წლის წინ უკანონოდ განდევნილმა „უზენაესმა საბჭომ" - ისინი ატარებენ სესიებს, მიმდინარეობს სერიოზული მუშაობა. ამ დროს კი კვლავ იდევნებიან კანონიერი ხელისუფლების მომხრე მოქალაქეები. ბოლოდროინდელი ფიზიკური ანგარიშსწორებებიც ერთგვარი მექანიზმია. საზოგადოებამ მომხდარ ფაქტზე უნდა გააკეთოს გარკვეული რეაგირება.

### ტერორი გრძელდება

10 დღის წინ „მრგვალი მაგიდის" წევრს, ყოფილ პოლიტპატიმარს, წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრს ბიძინა გორელიშვილს თავს დაესხნენ მეტრო „ისანთან". ვინც დადის კოლხურ კოშკში, ე.წ. სამიზნეებად იქცნენ.

ასეთი სადამსჯელო სპეცჯგუფები ალბათ ჰყავთ შ.ს.ს. ან უშიშროებას. აქედან გამომდინარე, თითოეული ჩვენგანი არ არის დაზღვეული ასეთი ქმედებისაგან. მომხდარის გამო პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება არსებულ რეჟიმს, როცა მიმართავს ანგარიშსწორებას პოლიტიკური ორიენტირების მქონე მოქალაქეების მიმართ. ამ ტერაქტების არსებობა დაფიქსირებულია აშშ დეპარტამენტის მოხსენებაში, რომელიც გამოქვეყნდა ა.წ. 10 თებერვალს. სამწუხაროდ, დახვედრებს და ფიზიკურ ანგარიშსწორებას ადგილი აქვს უცხოელი დიპლომატების მიმართაც. ასეთ შემთხვევაში მოქმედებენ მართვადი კრიმინალები, რომლებიც ძარცვავენ კიდეც მათ. მოცემულ შემთხვევაში კი კრიმინალების მოქმედებას არა აქვს ადგილი, ანუ ეს არის შეგნებული პოლიტიკური თავდასხმები და ვაძლევთ პოლიტიკური ტერორის კვალიფიკაციას. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით ეცნობათ შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს.

### რა სურს ეროვნულ ძალთა გაერთიანებას?

ამ დღეებში მიტინგი მოაწყო „დედაენის ძეგლთან" ეროვნულ ძალთა გაერთიანებამ.

გიორგი კერვალიშვილის კომენტარი:

„გაერთიანება თავისთავად კარგი ცნებაა, მაგრამ დასაზუსტებელია - ვისთან და რა კრიტერიუმით. არა მგონია, ეს გაერთიანება იყოს სერიოზული და პატიოსანი. ამ იდეების ავტორებს ჯ.გამახარიას, ვ.ბოჭორიშვილს და სხვებს ვურჩევთ სასწრაფოდ დატოვონ ე.შევარდნაძის მართული „დანჯღრეული მანქანა" და საქმით დაიწყონ მუშაობა და არა სიტყვით. ორ სკამზე მჯდომ ხალხს ვერ ვენდობით. ჩემის აზრით, ეს არ შეიძლება იყოს მყარი ნაციონალური გაერთიანება თუ ეროვნულ მოძრაობას უნდა გაერთიანება - ამბობს გ.კერვალიშვილი „კოლხურ კოშკში" გრძელდება უზენაესი საბჭოს მუშაობა და იქ გაერთიანდნენ, რომ აღსდგეს კონსტიტუციური სამართალმემკვიდრეობა. ამ ძალებს ქვეყნისათვის არაფერი არ გაუკეთებია 10 წლის მანძილზე, სიტყვით რაღას გააკეთებენ.

### სახელმწიფო დეპარტამენტი ამხელს საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტს

სავსებით ვეთანხმებით და ვიზიარებთ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებას ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში. ისინი ამხელენ ქვეყანაში მომხდარ ადამიანის უფლებათა დარღვევებს, მათი აზრით:

1)ქვეყანაში მოხდა სამხედრო გადატრიალება;

2)ქვეყანაში არიან პოლიტიკური პატიმრები;

3) არსებული ხელისუფლება არა თუ აუმჯობესებს, არამედ ფეხქვეშ თელავს ადამიანის უფლებათა მდგომარეობას ქვეყნის შიგნით, ანუ პოლიცია, პროკურატურა, უშიშროება იქცნენ ადამიანის უფლებათა დამთრგუნველ ორგანიზაციებად. დრო მოვიდა, ე.შევარდნაძის რეჟიმს თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებამ გამოუცხადოს იზოლაცია თავიანთი ქმედებების გამო;

4) გაუარესდა ხალხის სოციალური მდგომარეობა;

5) მიმდინარეობს თავისუფალი მასმედიის ანგარიშსწორება და ა.შ.

## საქართველოს სხვა ახალი ამბები

თბილისი:

თბილისში, უიარაღოს ქუჩის ბოლოში გაშენებული ფიჭვის ტყე 2000 წლის აგვისტოს დასაწყისში თითქმის მთლიანად დაიწვა. განადგურდა დაახლოებით 600-700 ძირი ხე. როგორც ამბობენ, აღნიშნული ადგილი მშენებლობისათვის სჭირდებათ. დღეისათვის განადგურებული ტყის მოპირდაპირე მხარის შემოღობვა დაიწყეს.

გლდანი:

გლდანის მასივის მე-7, მე-8 მიკრორაიონებში წყალი თითქმის არ არის, თითქოს გრაფიკით მიაწოდებენ ხალხს, მაგრამ ეს ასე არაა; როცა უნდათ, მაშინ გაუშვებენ წყალს, ისიც რამდენიმე საათით. გადასახადი კი ისეთივე რაოდენობითაა, როგორც ქალაქში. მეტი უფლების დარღვევა რაღა იქნება. ხალხი მიმართავს ამ „მთავრობის" წარმომადგენლებს, მაგრამ ვინ აქცევს მათ ყურადღებას.

იმავე მიკრორაიონებში გზები გადათხარეს იმის გამო, რომ მე-8 მიკრორაიონის ზედა მხარეს იყო პატარა ტბა, საიდანაც წყალი შედიოდა სახლებში და აზიანებდა. ტბიდან წყალი შეუერთეს გზებზე გათავისუფლებულ კანალიზაციას და თითქმის ამოაშრეს იგი, მაგრამ გზები მიატოვეს შეუკეთებლად. მუშები ამბობენ, ისინი ელოდებიან ხელმეორედ დაფინანსებას, მაგრამ ბიუჯეტს მაგისთვის სცალია? ხალხი კი შავ დღეშია. ასეთი გზები სოფლებშიც არ არის. გლდანის რაიონის გამგებელი კი გაათავისუფლეს, მაგრამ არც ახალი იკლავს თავს ხალხისათვის.

ისნის რაიონი:

2001 წლის პირველ თებერვალს თბილისის ტყავ-საგალანტერიო სახელობის სასწავლებლის მოსწავლე ოთარ მახარაშვილი მივიდა ახლო მდებარე მაღაზიაში ასანთის საყიდლად, ამ დროს მას მიუახლოვდა უბნის რწმუნებული გოჩა ლაბაძე და გვარი და სახელი ჰკითხა. პასუხის მიღებისთანავე გამოაღო მანქანის კარი და ძალით სვამდა ბავშვს შიგ. სასწავლებლის თანამშრომლები მიცვივდნენ, მაგრამ ვერა და ვერ გაათავისუფლებინეს მოსწავლე. ბიჭი ისნის რაიონის პოლიციის №2 ქვეგანყოფილების უფროსთან წაიყვანეს. მასწავლებლებმა სასწრაფოდ შეატყობინეს მომხდარის შესახებ მშობლებს. პოლიციამ მოასწრო ბავშვის „დამუშავება". მშობლებმა სასწავლებელში მიიყვანეს ნაცემი ბიჭი. იგი იმდენად იყო შეშინებული და წონასწორობიდან გამოსული, რომ დირექცია იძულებული გახდა სასწავლებლიდან გაეთავისუფლებია. რა თქმა უნდა, პოლიციელთა ხელიდან მოსწავლის გათავისუფლებას გარკვეული თანხა დასჭირდა, თუმცა ვერ დავადგინეთ, რამდენი „დაუჯდათ" მშობლებს უდანაშაულო ბავშვის გამოხსნა.

ზესტაფონი:

ზესტაფონში 2000 წლის აგვისტოს დასაწყისში ფეროშენადნობი ქარხნის მუშები გაიფიცნენ. ისინი ითხოვდნენ სამი თვის გაუცემელი ხელფასების მიღებას. გაფიცულებმა ქარხნის ხელმძღვანელობას არ მისცეს ლითონით დატვირთული ვაგონების გატანის საშუალება (ლითონის მოპოვება-გატანა ზესტაფონში წლების მანძილზე ხდებოდა და დღემდე მიმდინარეობს). სიტუაციის განსამუხტად გაფიცულებს შაშიაშვილი და პარლამენტარი კოვზირიძე შეხვდნენ. გუბერნატორი არა მარტო ხელფასების დროულად მიცემას დაპირდა, არამედ 25%-ის დანამატიც აღუთქვა, თუმცა დღეს ყველამ იცის, რა ფასიც აქვს ამგვარ დაპირებებს. ხალხს დღემდე არაფერი მიუღია. რაც შეეხება ტრადიციონალისტ კოვზირიძეს, იგი მუშების დასახმარებლად ტრადიციულად არ იწუხებს თავს. ზესტაფონელებს კარგად ახსოვთ მისი წარსული აქტიურობა, რაც აკაკი ასათიანთან ერთად კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ქმედებებში გამოიხატა. ამიტომ ხალხის ბედისადმი მისი გულგრილობა არავის აკვირვებს. ეს ის კოვზირიძეა, რომელსაც ტელეკომპანია "არგოს" ეთერში გამოსვლისას ჰკითხეს, საკრებულოში კრიმინალები რატომ გყავთო, მან კი "მოსწრებულად" მიუგო: "მერე რა, ციხეში ლენინი და სტალინიც ისხდნენო".

ონი:

ონის რაიონის იმ სოფლებში, რომლებიც ონი-კვაისას შორის არის განლაგებული, ნარკობიზნესი ჰყვავის, რომელშიც აქტიურად მონაწილეობს როგორც ქართული, ისე ოსური მხარე. ადგილობრივი მცხოვრებლების სიტყვით, ნარკობიზნესი აქ აფხაზეთის ომის დროს გაიშალა, როდესაც "აფხაზეთის დამცველმა" ქუთაისისა და ტყიბულის ბატალიონის მებრძოლებმა ამ ადგილებში იწყეს ნარკოტიკების შეძენა (ყოფილა ზედმეტი დოზის მიღების გამო იქვე სიკვდილის შემთხვევებიც).

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის ინფორმაცია

## 2001 წლის 10 მარტს ქ.თბილისში, კოლხურ კოშკში ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა

### დღის წესრიგი:

1. საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ (მომხსენებელი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს. პრეზიდიუმის წევრი დავით ტაბიძე).
2. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განცხადება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისადმი
(მომხსენებელი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მანანა არჩვაძე-გამსახურდია)
3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებსა და პარლამენტებს, ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს
(მომხსენებელი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დალი ფიროსმანაშვილი)
4. სხვადასხვა.

აქვე გთავაზობთ საქართველოს უზენაესი საბჭოს ორ მიმართვას და ქ-ნ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მოხსენების ტექსტს.

---

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს**
**ვლადიმერ პუტინს**
**რუსეთის ფედერაციის ფედერალური საკრებულოს**
**ფედერაციის თავმჯდომარეს**
**ეგორ სტროევს**
**რუსეთის ფედერაციის ფედერალური საკრებულოს**
**სახელმწიფო დუმის თავმჯდომარეს**
**გენადი სელეზნიოვს**

### მ ი მ ა რ თ ვ ა

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელი ფაქტობრივი ხელისუფლება არის მემკვიდრე იმ სისხლიანი ხუნტისა, რომელმაც, რუსეთის არმიის რეგულარული ნაწილების პირდაპირი სამხედრო ჩარევით, განახორციელა 1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალება და ხელისუფლების უზურპაცია.

2001 წლის 16 თებერვალს საქართველოს უკანონო პარლამენტმა რატიფიკაცია გაუკეთა რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ 1993 წლის 13 სექტემბერს ხელმოწერილ ხელშეკრულებას ე.წ. „ნულოვანი ვარიანტის" შესახებ, რითაც უარი თქვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ვალებიდან საქართველოს რესპუბლიკის აქტივებისა და პასივების წილზე.

ეს საკითხი ჩვენს სახელმწიფოებს შორის იდგა ჯერ კიდევ 1991 წელს. 1991 წლის 4 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას „ყოფილი საბჭოთა კავშირის ვალებისა და აქტივების სამართალმემკვიდრეობის შესახებ". ამ ხელშეკრულებით საქართველოს რესპუბლიკის წილი შეადგენდა ყოფილი საბჭოთა კავშირის აქტივებისა და პასივების 1,62%-ს.

სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, 1992 წლის 13 მარტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ დევნილობაში მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც: „ყველა აქტი, მიღებული საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ, მათ შორის პარლამენტის არჩევნების დანიშვნის აქტი, ჩაითვალოს იურიდიული ძალის არმქონედ".

ზემოთქმულიდან გამომდინარე, 2001 წლის 24 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ დადგენილებით გააუქმა უკანონო პარლამენტის 2001 წლის 16 თებერვლის რატიფიკაცია ე.წ. „ნულოვანი ვარიანტისა". ამით აჩვენა, რომ საქართველოს არაკანონიერ ხელისუფლებას არა აქვს არც იურიდიული და არც მორალური უფლება, საქართველოს რესპუბლიკის სახელით გადაწყვიტოს მსგავსი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები.

საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებათა წარმომადგენლები აუცილებლად დაუბრუნდებიან ყოფილი საბჭოთა კავშირის ვალებისა და აქტივების საკითხის განხილვას. ჩვენ ვიმედოვნებთ ამ საკითხის თქვენთან ერთად გადაჭრას თანასწორუფლებიანობისა და საერთაშორისო სამართლის საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გოგაძე

თბილისი, 2001 წლის 24 თებერვალი

---

### მ ი მ ა რ თ ვ ა

**მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებსა და პარლამენტებს, ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს**

2001 წლის 3 მარტს, საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში, საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელდა მორიგი ტერორისტული აქტი: თავს დაესხნენ და სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებები მიაყენეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს, საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს, დეპუტატ რევაზ კემულარიას და საქართველოს ჰელსინკის კავშირის ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის იურიდიული კომისიის თავმჯდომარეს, აფხაზეთიდან დევნილ ვასილ დარსალიას.

თქვენთვის ცნობილია, რომ 1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალებით საქართველოდან განდევნილ იქნა კანონიერი ხელისუფლება და მთავრობა, განდევნილი და შემდგომ, 1993 წლის 31 დეკემბერს, ფიზიკურად განადგურებული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გადატრიალების პირველი დღიდან მიმდინარეობს ორგანიზებული ტერორი კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მათი მხარდამჭერების მიმართ.

1998 წლის 14 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის კანონიერმა ხელისუფლებამ შესძლო დევნილობიდან დაბრუნება.

დღეს საქართველოში ორხელისუფლებიანობაა.

მოგმართავთ: მხარი დაუჭიროთ საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების დე ფაქტო აღდგენას და იმოქმედოთ საერთაშორისო სამართლის იმავე კანონების ფარგლებში, რომელიც მიღებულია და აღიარებულია თქვენსავე მიერ, რათა ხუნტამ უპირობოდ დატოვოს უზურპირებული ხელისუფლება და აღმოიფხვრას კავკასიაში კერა პერმანენტული დესტაბილიზაციისა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გოგაძე

თბილისი, 2001 წლის 10 მარტი

---

# საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისადმი

დღევანდელი გამოსვლის მიზანია განვიხილოთ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში, რომელიც ეხება საქართველოს. შევაფასოთ, რამდენად ფლობენ რეალურ სიტუაციას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღევანდელი საქართველოსათვის.

უპირველესად ისინი ეხებიან 1995 წლის კონსტიტუციას, რომელშიც განმარტებას გვაძლევენ, რომ „აღმასრულებელი ხელისუფლება ანგარიშვალდებულია პრეზიდენტსა და საკანონმდებლო ორგანოს მიმართ". ნუთუ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ასეთი სერიოზული დოკუმენტის შედგენისას ავიწყდება საქართველოს 1991 წლის კონსტიტუცია, რომლის პრეამბულაში შავით თეთრზე წერია: „1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმით საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობამ ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. რეფერენდუმის შედეგი გახდა დამატებითი სამართლებრივი და ზნეობრივი საფუძველი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებისა, რითაც მსოფლიოს ეცნობა ქართველი ერისა და მთლიანად საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის ერთსულოვანი ნება".

ანგარიშში ვკითხულობთ: „აპრილში ედ.შევარდნაძე ხელახლა იქნა არჩეული მეორე ხუთწლიანი ვადით. ეს არჩევნები ხასიათდება უამრავი სერიოზული უკანონობით, რომელიც მკაცრად იქნა გაკრიტიკებული საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ. ასევე დასძენენ, რომ არჩევნებში ჩართული იყვნენ უმაღლესი მოხელეები, წარმოდგენილ იქნა ამომრჩეველთა საეჭვო სიები". ზემოთ ჩამოთვლილი ხარვეზების საფუძველზე შევარდნაძეს კვლავ ამტკიცებენ ე.წ. პრეზიდენტად. ჩემში ეს განმარტება ობიექტურობის უკმარობას იწვევს აღნიშნული ფაქტის „შეფასების" გამო, რაც თავისთავად აირეკლება საქართველოს მოსახლეობაში, როგორც დარღვევა - კრიტიკა - თუ ჩადენილი დანაშაულის პატიება. შემდგომ ვკითხულობთ: „1990 წლის პირველ მრავალპარტიულ არჩევნებს მოჰყვა 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომელიც 1992 წელს სამხედრო გადატრიალებით დასრულდა, რის შედეგად განიდევნა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და არჩეული მთავრობა".

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმებით აკრძალულია ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტისა და ხელისუფლების დამხობა, რომელზეც ყურადღებას არ ამახვილებენ და აღიარებენ რუსეთის მოქალაქე შევარდნაძეს დროებითი მთავრობის მეთაურად.

მიზანშეწონილად მიმაჩნია მოვიხმო 2000 წლის 27 სექტემბრის (22 სთ.) რუსთავი - 2 სატელევიზიო გადაცემა, რომელშიც მონაწილეობდნენ: ედ.შევარდნაძე, ი.ბათიაშვილი, ა. სანებლიძე.

შევარდნაძე: „საქართველო იმ დროს ფაქტიურად არ იყო სახელმწიფო (საუბარია 1993 წლის 27 სექტემბერზე). სახელმწიფოს არ ჰყავდა მთავარსარდალი, ხელმძღვანელი. სახელმწიფოს მართავდა ოთხეული". რის საფუძველზე აფიქსირებენ შევარდნაძეს მთავრობის მეთაურად, რომელი საკანონმდებლო აქტით აღიარებენ ოთხეულს, როგორც მმართველ ძალას, ხოლო დამხობილ ხელისუფლებაზე საუბარს თავს არიდებენ?

აქვე ვაფიქსირებთ: „სამოქალაქო და სეპარატისტთა ომებმა, რომელიც გადატრიალებას მოჰყვა, შეასუსტა ცენტრალური მთავრობის ძალაუფლება".

მსურს შევახსენო დოკუმენტის ავტორებს, რომ საქართველოში არავითარი სამოქალაქო ომი არ ყოფილა. ეს გახლდათ ნეოკომუნისტების, ცრუ პოლიტიკური პარტიების, კრიმინალური ბანდების, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, რუსეთის და როსტოვის სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალება. რაც შეეხება აფხაზეთსა და ე.წ. ოსეთში ჩატარებული ქართული მოსახლეობის წმენდას, რასაც მოყვა ზემოხსენებული ტერიტორიების რუსეთისათვის ოფიციალურად გადაცემა, განხორციელდა შევარდნაძის მიერ ყარსის, დაგომისის, სოჭის, მოსკოვის, გაგრის, ბორჯომის მოღალატური გარიგებების საფუძველზე. ჩემში ეჭვს იწვევს ამგვარი ზერელე განცხადება, ვინაიდან ტექსტის ავტორები ანგარიშვალდებულნი არიან გაეცნონ ყველა დოკუმენტს, რომელიც ზემოხსენებულ ტერიტორიებს ეხება, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ფაქტი ეჭვქვეშ აყენებს ამ დოკუმენტის ობიექტურობას.

ამავე დოკუმენტში ადგილი ეთ-

დასასრული მე-2 გვერდზე

# საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისადმი

დასაწ. იხ. წინა გვერდზე

მობა რუსეთის სამშვიდობო ძალების განლაგებას აფხაზეთსა და ე.წ. ოსეთში. ფაქტია, მათი სახით ე.წ. სამშვიდობო ძალები ამ ტერიტორიებს იცავენ მკვიდრი მოსახლეობისაგან, რათა არ დაუშვან მათი დაბრუნება კუთვნილ ტერიტორიაზე.

დოკუმენტის ავტორებს მსურს გავაცნო 1991 წლის 15 სექტემბრის, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ სსრკ-ს (რუსეთის) სამხედრო ძალების საოკუპაციო ძალებად გამოცხადების და საქართველოს ტერიტორიიდან მათი გაყვანის დადგენილების უგულებელყოფა, რის შემდგომ 1992 წლის 24 ივნისის დაგომისის გარიგების შედეგად „სამშვიდობო ძალების" სტატუსით მოევლინეს რუსეთის საოკუპაციო ძალები. ამავე დოკუმენტში უდიდეს როლს აკისრებენ ადგილობრივ ძალებს: შ.ს. სამინისტროს, პროკურატურასა და უშიშროებას, რომელთაც ჩადენილი აქვთ სერიოზული და მრავალრიცხოვანი დარღვევები ადამიანის უფლებების დაცვასთან მიმართებაში. საკუთარი ტერიტორიიდან მოსახლეობის აყრა ადამიანის უფლებების დარღვევას ძლიერ სცილდება. ეს გახლავთ უცხო სახელმწიფოს მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია – ანექსია.

დოკუმენტში ეხებიან ძირითადად გალის მოსახლეობას, მის რიცხობრივ მონაცემებს, რომელიც რამდენიმე გზის იქნა გამოდევნილი. მათი საბოლოო მონაცემებით გალის რაიონში 40.000 მცხოვრებია, ხოლო დანარჩენ რაიონებთან მიმართებაში ქართულ მოსახლეობას შექმნილი სიტუაციით აკრძალული აქვს დაბრუნება.

დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული: „თანამეგობრობის სახელმწიფოების წარმომადგენლები განლაგებულნი არიან აფხაზეთში საქართველოს მთავრობისა და აფხაზი სეპარატისტების შეთანხმების შედეგად". ე.ი. ხუნტას მოსახლეობისაგან დამოუკიდებლად გადაუწყვეტია მათი ბედი, რომელიც კომენტარს აღარ საჭიროებს. პოლიტიკოსების შედგენილი დოკუმენტი ასეთი ქვეტექსტებით არ უნდა ქვეყნდებოდეს.

ანგარიში მოიცავს საბაზრო ეკონომიკის საკითხებს. „საქართველო საექსპორტო საქონელს წარმოგვიდგენს ჯართის, მარგანეცის, ღვინისა და მინერალური წყლების სახით". ჩემთვის გაუგებარია მთავარი საკითხი: თუ საქართველოს საექსპორტო საქონელი ოთხი ჩამონათვალისაგან შედგება, მაშინ ლოგიკურია საქართველოს დღევანდელი გაღატაკებული მდგომარეობა. სამწუხაროა, რომ ხუნტას საქართველოდან ყველაფერი გააქვს ბუნებრივი წიაღისეულიდან, ადამიანის ორგანოების და ახალშობილების ჩათვლით. რატომ გამორჩათ ჩვენს ოპონენტებს, უცხოეთის ბანკებში განთავსებული ათეულობით მილიარდი დოლარი ვის სახელზე ირიცხება? აქედან გამომდინარე, დეპარტამენტის შეფასება, 52,6%-ის წარმოდგენა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისა კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს.

კანონიერი ხელისუფლების ფაქტობრივად არსებობის პერიოდში საქართველოს მოქალაქეთა ცხოვრების პირობები ნორმაზე მაღალი იყო, ჩვენთვის უცხო იყო სიღატაკე, უხელფასობა, უპენსიობა, მათხოვრობა, დევნილობა და სხვ. საქართველო ყველას ყურადღებას იპყრობდა არა მარტო გეოპოლიტიკური მდებარეობით, ბუნებრივი წიაღისეულით, ფერადი და შავი ლითონის წარმოებით, საზღვაო სანაოსნო ტერიტორიებით, უნიკალური კურორტებითა და მინერალური წყლებით, სოფლის მეურნეობის ტრადიციული ფორმებით და სხვა მრავალი. ხუნტის დამსახურებით საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობა მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების თემა გახდა. შევარდნაძის ბანდამ ისე გაანადგურა საქართველოს ეკონომიკა, რომ დღეს რესპუბლიკის მოსახლეობა დილემის წინაშე დგას – თუ როგორ დააღწიოს თავი არსებულ სიტუაციას. ეს ურთულესი საკითხი გადაჯაჭვულია პოლიტიკასთან და აქედან გამომდინარე, ნებისმიერი მოქალაქე უსუსურია არსებული პრობლემების წინაშე.

კრიმინალური უკანონო რეჟიმის მიერ მიტაცებულია მოსახლეობის ანაბრებზე ჩარიცხული 10 მილიარდი დოლარისა და ე.წ. ვაუჩერიზაციით 40 მილიარდი დოლარის ღირებულების კუთვნილი ქონება. კორუმპირებული ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ მითვისებულ იქნა მილიარდობით დოლარის კრედიტი, რამაც თითოეული ოჯახი სამუდამოდ დააკაბალა. აქვე უნდა აღინიშნოს კანონიერი ხელისუფლების მიერ სახელმწიფო ხარჯებით ჩატარებული აღდგენითი სამუშაოები მიწისძვრით დაზარალებულ ორ უდიდეს რეგიონში, რომელსაც ემატება ეროვნული ხელისუფლების ზრუნვა მოსახლეობისადმი, რომელმაც დამხობის შემდგომ არავითარი საშინაო და საგარეო ვალები არ დაუტოვა რესპუბლიკის მოქალაქეებს.

დოკუმენტში აღწერილია: „დაკავებულთა და პატიმართა მდგომარეობა, რომ კვლავ გრძელდება ცემა და შეურაცხყოფა, იძულებით ჩვენების აღიარება ან შეთხზული ჩვენება, პოლიციის მხეცური ქცევა მთელი წლის განმავლობაში თანდათან იზრდება. დაკავებულთა შორის ადგილი აქვს გარდაცვალების შემთხვევებს". დოკუმენტის ავტორები გაურბიან მშვიდობიანი მოსახლეობის, რამდენიმე ასეული მომიტინგის დახვრეტას, მომიტინგეთა და მანიფესტანტების წინააღმდეგ უხეში ძალის სისტემატურ გამოყენებას, სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლების, ელექტროშოკის, ტოქსიკური საღებავების გამოყენებას, მასობრივ დაპატიმრებებს პოლიტიკური შეხედულებების გამო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური წამების არნახული მეთოდების გამოყენებას, არასრულწლოვანთა გაუპატიურებას, მომიტინგეთა ჯგუფების ქალაქგარეთ სიცოცხლისათვის სახიფათო ტერიტორიებზე გაყვანის ფაქტების მხილებას. ჩვენს მიერ გადაცემული დოკუმენტები გამოყენებულია როგორც საინფორმაციო მასალა და არა როგორც საბრალდებო დოკუმენტი ხუნტის მიმართ. ნუგზარ ლეჟავა, მაყვალა აბაშელი, მარიამ გერაძე, რომელნიც არსებული პოლიტიკური რეჟიმის მსხვერპლნი გახდნენ, მათი გვარები არსად ფიგურირებს. თუნდაც ის ფაქტი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლის ქალაქიდან რამდენიმეჯერ გატაცება, მასზე ფიზიკური ზემოქმედება უპრეცედენტო შემთხვევაა მთელს მსოფლიოში. სამწუხაროა, რომ დოკუმენტის შემდგენლების მხრიდან ამ ფაქტებმა ყურადღება არ დაიმსახურა.

„აქვე საუბარია იუსტიციის მინისტრის წარმატებებზე, რომელმაც გაათავისუფლა რამოდენიმე კორუმპირებული მუშაკი და გადავსებულ საპატიმროებში რამოდენიმე პატიმრის გათავისუფლებით პრობლემა მოხსნა".

რამდენიმე პატიმრის გათავისუფლებით თუ საქართველოში პატიმრების პრობლემა მოიხსნა, რას უპირებენ ათასობით პატიმარს, რაც ერთ-ერთი უმძიმესი საკითხია საქართველოში. სამწუხაროა, მაგრამ აღსანიშნავია ის სამარცხვინო ფაქტი, რომელიც სააკაშვილის ავტორიტეტის წარმოჩენას ისახავს მიზნად და არა რამდენიმე პატიმრის ბედის დადებითად გადაწყვეტას, რომელთა უკან ათასობით პატიმარი უდანაშაულოდ ისჯება.

ჩემი აზრით, სააკაშვილს, როგორც ე.წ. იუსტიციის მინისტრს, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეეფასებინა 1991–92 წ.წ. საქართველოში მიმდინარე მოვლენები. მართალია, იგი მოქალაქეთა კავშირის აქტიური წევრია, მაგრამ იგი ვერ მოიხსნის იურიდიულ-პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ. იგი იძულებულია საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით შეაფასოს ხუნტის მიერ ჩადენილი დანაშაული, რასაც მოჰყვა კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის ინსტიტუტის დამხობა. დოკუმენტში არ განიხილავენ ისეთ აუცილებელ მომენტებს, რომელიც ეხება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციას, მისი საცხოვრებელი სახლის ვანდალურ დარბევას, გაძარცვას, გადაწვას, მისი ოჯახის წევრების მუდმივ დევნას.

აქვე დაფიქსირებულია: „სამართალდამცავმა ორგანოებმა ძალიან მცირე რამ გააკეთეს დემოკრატიული ნორმების დასამკვიდრებლად და დაუსჯელობა რჩება პრობლემად. სასამართლო ვანიცდის ზეწოლას და კორუფციას, ადგილი აქვს ხელისშემშლელ პირობებს რეფორმების ჩასატარებლად".

რეფორმების ჩატარება რამდენიმე უწყებას შეეხო, რომელიც ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ადგილები განაწილდა მოქალაქეთა კავშირის წევრებზე და მათ სანდო პირებზე, რომლებიც ქრთამის აღებით ხუნტის სამუდამო სამსახურში ჩადგნენ. რეფორმები სადაც ჩატარდა, დამტკიცდა, რომ მისი მიზანი არსებული სტრუქტურების დანგრევა უფრო იყო, ვიდრე სახელმწიფოს მართვის ორგანოების თანამედროვე ფორმებზე გადასვლა. კანონიერი ხელისუფლების დამხობისას ხუნტა სპეკულირებდა „დემოკრატიისათვის" ბრძოლის ლოზუნგით, შემდეგ დაიწყო „ბრძოლა" კორუფციის წინააღმდეგ, მას მოჰყვა „რეფორმები". ამჟამად მიმდინარეობს აგიტაცია „შერიგების" ლოზუნგით და ეს ფარსი გაგრძელდება მანამ, სანამ საქართველოში არ აღდგება კანონიერება.

დოკუმენტი არ განიხილავს სამხედრო-საველე სასამართლოების დანაშაულებრივ ქმედებებს (1992–97 წ.წ.), რომლებიც საიდუმლოდ არსებობდა თბილისში, ქუთაისში, თელავში, გორში, ბათუმში, ახალციხეში, რუსთავში, ფოთში, ზუგდიდში, კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მათი მხარდამჭერი, კონსტიტუციური უფლებებისათვის მებრძოლი მოქალაქეების წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ სამხედრო-საველე სასამართლოს თავმჯდომარე ინიშნებოდა შევარდნაძის მიერ ე.წ. იუსტიციის მინისტრის წარდგინებით. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ საქართველოში ოფიციალურად იყო დამყარებული სამხედრო დიქტატურა. უხეშად ირღვეოდა საერთაშორისო სამართლის ნორმები, კონვენციები, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების აღიარებული პრინციპები.

დოკუმენტის ავტორები არ ეხებიან მაწანწალა ბავშვების პრობლემას, რომლებიც გასულ წელს 6 000 აღირიცხა. მათი სახით ყალიბდებიან პოტენციური მკვლელები, ბანდიტები, ნარკომანები, პროსტიტუტები, რომლებიც უდიდეს საფრთხეს უქმნიან მოსახლეობას.

1991–92 წწ. საქართველოს რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის ძალებისა და ადგილობრივი კრიმინალების მეშვეობით განხორციელებულმა სახელმწიფო-სამხედრო გადატრიალებამ საფუძველი ჩაუყარა მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, კლანურ-ოლიგარქიული მაფიის თარეშს, კრიმინოგენულ სიტუაციას, დაუსჯელობის სინდრომს, შიმშილს, უსახლკარობას. რესპუბლიკაში შექმნილმა მდგომარეობამ მოსახლეობა მიიყვანა უკიდურეს ფსიქოლოგიურ კრიზისამდე, რასაც მოჰყვა უმძიმესი შედეგები. მარტო თბილისში ყოველდღიურად თვითმკვლელობის ათეულ შემთხვევაზე მეტია, ხოლო აფხაზეთიდან დევნილებში (გაზ. „ახალი თაობის" მონაცემებით) 30-დან 35-მდე აღწევს. ეს გახლავთ გეგმაზომიერი გენოციდი, რომელიც ჩვენს გენოფონდს უდიდესი კატასტროფის წინაშე აყენებს.

„დოკუმენტში ეხებიან საქართველოდან ემიგრაციის საკითხს, რომელიც აიძულებს მოსახლეობას მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო დატოვონ სამშობლო.

აქვე ვხვდებით რელიგიის თავისუფლების საკითხს, პროფესიული კავშირების ფუნქციებს, თითქოს საქართველოში 600 000 მოქალაქე პროფესიული კავშირის წევრია. აქვე საუბარია ახალგაზრდა ასაკის ქალების უმუშევრობაზე რომლებიც იძულებულნი არიან გაემგზავრონ სამუშაოდ თურქეთსა და საბერძნეთში, სადაც ბევრი ახალგაზრდა ეწევა პროსტიტუციას".

ინფორმაცია საქართველოში პროფკავშირების საქმიანობის შესახებ მიზნად ისახავს საერთაშორისო ორგანიზაციების დეზინფორმაციას. საქართველოში პროფკავშირები წარმოადგენს განსხვავებული შეხედულების მქონე მოქალაქეთა რეპრესიულ სტრუქტურას. ხუნტასთან თანამშრომლობით ე.წ. თავისუფალი პროფკავშირები არათუ იცავენ მოქალაქეთა ინტერესებს, არამედ ხელყოფენ მათ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს; უფრო მეტიც. საქართველოს ე.წ. თავისუფალი პროფკავშირების მესვეურებმა ხუნტასთან ერთად გაძარცვეს და მიითვისეს ასეულობით მილიონი დოლარის ღირებულების მოქალაქეთა ქონება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, გაცნობოთ საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ადამიანის პირადი უფლებებისა და თავისუფლების შესახებ:

საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მოკლებულია საკუთრების, შრომის, კვების, კულტურული ცხოვრების, ინტელექტუალური აქტივობისა და თეორიული ძიების, ჯანმრთელობის დაზღვევის, სამედიცინო მომსახურეობის, მემკვიდრის ყოლის და სხვა უფლებებს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილის ფიზიკური სიცოცხლე დაუცველია, კატასტროფულ მასშტაბებს აღწევს თვითმკვლელობები, მკვლელობები, ძარცვა, ბანდიტიზმი, შიმშილით სიკვდილი, ასიათასობით ადამიანი ფიზიკური გადარჩენის მიზნით ტოვებს სახლ-კარს და უცხოეთს აფარებს თავს.

მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი 1991–92 წწ. სახელმწიფო-სამხედრო გადატრიალებიდან დღემდე ბოიკოტს უცხადებს ხუნტის მიერ დანიშნულ სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს. დარღვეულია დემოკრატიის ელემენტარული პრინციპები, ფაქტობრივად, აკრძალულია მოქალაქეთა შეკრებები, მშვიდობიანი მანიფესტაციები, სიტყვის და აზრის თავისუფლება შეზღუდულია და იდევნება, პატიმართა რიცხვი რამდენიმე ათეულ ათასს აღემატება, სასჯელაღსრულებით ორგანოებში სრული განუკითხაობაა, პატიმრები უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებიან, უმრავლესობა დაავადებულია ტუბერკულოზით, შინაგან ორგანოთა პათოლოგიით და სხვ. ციხეებსა და კოლონიებში ისეთივე ანარქია და ქაოსია, რაც თავად რესპუბლიკაში.

მოსახლეობის უმრავლესობა მოკლებულია ადამიანის პირად უფლებებსა და თავისუფლებებს, სიღატაკის გამო ვერ ახერხებენ თავისუფალ მიმოსვლას, გადაადგილებას. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები ხუნტის მხრიდან განიცდიან მუდმივ თვალთვალს, სატელეფონო საუბრების მოსმენებს, მიმოწერის სხვადასხვა საშუალებების კონტროლს.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები სრულ პასუხისმგებლობას აკისრებს ხუნტას და შევარდნაძეს, რომელთაც საქართველოს მოსახლეობაზე მორალურ-ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ზეწოლის შედეგად მიაღწიეს სასურველ მიზანს, კერძოდ, საქართველო გახდა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს თითით საჩვენებელი სამარცხვინო წერტილი დედამიწაზე.

დასასრულ, მინდა მივმართო ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, გადადგან სამართლიანი ნაბიჯი საქართველოსთან მიმართებაში. შევარდნაძის უკანონო რეჟიმის ათწლიანი ექსპერიმენტი საქართველოში უნდა დასრულდეს. აშშ-ს წინამორბედი ადმინისტრაციის უმართებულო პოლიტიკამ, სადაც წამოწეული იყო არა სახელმწიფოთაშორისო საკითხები, არამედ პირადი ურთიერთობები, საქართველო დაღუპვის პირას მიიყვანა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობას, მიუხედავად საქართველოს 1991–92–93წ.წ. ოკუპაციისა, კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერიათ. ამიტომ, საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის გარდამავალი პერიოდის კონსტიტუცია და კანონიერი ხელისუფლება დღესაც განაგრძობს იურიდიულად არსებობას. ზემოხსენებული ვითარებიდან გამომდინარე, დღეს საქართველოში ორხელისუფლებიანობაა. პარალელურად არსებობს ხალხის მიერ არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა (რომელსაც რეალური ძალაუფლება არა აქვს) და უკანონო ფაქტობრივი ხელისუფლება. საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზაა მისი სამართალმემკვიდრეობის აღდგენის საკითხი, რითაც გზა გაეხსნება 1991–92, 93 წწ. დამხობილი სახელმწიფოს მართვის კანონიერ ინსტიტუტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში არსებული დღევანდელი მდგომარეობა მსოფლიოს არც ერთი სახელმწიფოსთვის არაა მომგებიანი. ანარქია, ქაოსი, ბანდიტიზმი, ქურდობა, ყაჩაღობა, ნარკომანია, ადამიანების გატაცება და სხვა ფეთქებად სიტუაციას ქმნის საქართველოში აკრედიტირებული საელჩოების თანამშრომლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მთავრობის ძირითადი მიზანია, იმ სახელმწიფოებთან, რომელთაც საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა სცნეს, დამყარდეს კეთილმეზობლური, დიპლომატიური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები, რაც გარანტი იქნება კავკასიაში საყოველთაო მშვიდობისა.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი,
საქართველოს პოლიტიკურ
პარტიათა და ორგანიზაციათა
მრგვალი მაგიდის სპიკერი
მანანა არჩვაძე-გამსახურდია

## მრუდე სარკე და სინამდვილე

### მრუდე სარკე:

აკაკი გოგიჩაიშვილი (რუსთავი 2, 60 წუთი. 18 მარტი, 2001 წელი):
„ვახტანგ რჩეულიშვილი და მისი წრე ქურდების დახმარებით უსწორდებიან მეწილეებსა და ყოფილ თანამეინახეებს".

### სინამდვილე:

დე ფაქტო პარლამენტი ძირითადად ქურდებისა და ყაჩაღების თავშესაფარია: ამ თავშესაფარიდან იმართება კრიმინალური პოლიციაც, პროკურატურაც და ქურდბაცაცური სამყაროც!

ამაში ნამდვილად გვარწმუნებს ნახევარსიმართლის მოლაპარაკე „60 წუთიც" კი! გოგიჩაიშვილს ვურჩევთ ამ ყოველივეს მიზეზი „ეძებოს". შევახსენებთ მასაც და მის ამერიკელ მეგობრებსაც, რომ საქართველოში უკვე 10 წელიწადია კონსტიტუციური ვაკუუმი და პუტჩისტური ცნობიერება ბატონობს; სახელმწიფო და ხალხი ერთი მუჭა მძარცველების მიერ გაჯაყოსმარგოებულია; ამ მცირერიცხოვან აგრესიულ პარაზიტებს კი რუსეთთან ერთად ამერიკაც მფარველობს.

### მრუდე სარკე:

2001 წლის 13 მარტის რადიოგადაცემაში „თავისუფლება" ჟურნალისტმა სოზარ სუბელიანმა მსმენელთ გააცნო ზუგუნას განცხადება: „საქართველოში საზოგადოებივი მორალი დაბალ დონეზეა, რადგან რელიგიურ უმცირესობას ასე დევნიან".

### სინამდვილე:

ზნემაღალი ქართველი ხალხი ებრძვის არა ადამიანთა ჯგუფებს, არამედ ქვეყნის ფიზიკური და სულიერი განადგურებისათვის შემოგზავნილ ათასგვარ მწვალებელს. კოსმოპოლიტთა მიერ გზააბნეულთ მართლმადიდებელი ქართველობა არა თუ დევნის, არამედ სპეციალურ ლოცვასაც კი აღასრულებს მათ მოსაქცევად.

### მრუდე სარკე:

2001 წლის 13 მარტს რადიოგადაცემაში „თავისუფლება" ჟურნალისტ გ.კაკაბაძესთან საუბარში ზაზა ფირალიშვილმა განაცხადა: „შეტევა ხელისუფლებაზე ესაა შეტევა სახელმწიფოზე და არ უნდა მოხდეს ამ ორი ფენომენის გაიგივება".

### სინამდვილე:

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ბატონი ფირალიშვილი 1992–93 წლებში პუტჩისტთა მხარეს იდგა. მას მაშინ არ ახსოვდა, რომ ხალხის მიერ არჩეული მთავრობის დამხობით პუტჩისტები საქართველოსაც რომ ამხობდნენ? ახლაღა გაახსენდა ეს სიბრძნე?

## ფრაგმენტები ჩვენი დღევანდელი ყოფიდან

**ლევან სორდია**

# უცხოური სიზმრები კანდელაკის 63-ში

არ ვიცი, რამდენად ეხება ეს საქართველოს სხვა კუთხეებს, მაგრამ თბილისელთა (არა მარტო ნამდვილ თბილისელთა) მნიშვნელოვანი ნაწილი, ალბათ, უკვე გადააწყდა მოვლენას, რომლის შესახებაც ახლა გვინდა მოგითხროთ.

კარგა ხანია, უფულობით, უშუქობით, ხელისუფლების უგულობითა და მრავალი ასეთი "უ"-თი გამწარებულ მოსახლეობას სატელეფონო ფერიები ურეკავენ და ნაზად ეკითხებიან: კანარის კუნძულებზე დასვენება თუ გნებავთო, და ალერსიანად აგრძელებენ, თქვენი ნომერი სატელეფონო წიგნში ამოვიკითხეთ (ძლივს არ გავიგეთ,

**კარგა ხანია მოსახლეობას „სატელეფონო ფერიები" ურეკავენ და**

**კანარის კუნძულებზე დასასვენებლად ეპატიჟებიან.**



ვისთვის გამოუშვიათ ეს სატელეფონო წიგნი, თორემ ფასის გამო რომ ჩვეულებრივი მოკვდავი, თუნდაც კანარის კუნძულებზე დასვენების მოსურნე, მას ვერ შეიძენს, ეს უდავოა. ჩვენ გვსურს დახმარების ხელი გავუწოდოთ საშუალო მოქალაქეს (არსებობს კი ჩვენში ამგვარი?) და დავასვენოთ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში კანარის კუნძულებზე, ორი კვირით, ოჯახით (დაოჯახებულობა ერთადერთი სავალდებულო პირობაა, რომელსაც "საშუალო მოქალაქისაგან" ითხოვენ), ეს ჩვენი საჩუქარია, ოღონდ მობრძანდით ჩვენთან, გარწმუნებთ, კმაყოფილნი დარჩებითო.

რა თქმა უნდა, მრავალ მამაძაღლობაზე აცრილი და საბჭოურ-ხუნტური გამოცდილებით დატვირთული "საშუალო" ქართველი ასე იოლად არ ედიალოგება "ფერიას". ჯერ რომელიმე მეგობრის ხუმრობად მიიჩნევს ამ ზარს, მერე, როდესაც "ფერიის" სიმტკიცეს საზღვარი არა აქვს, თანამოსაუბრე უწყინარი, უცნობი გიჟი ჰგონია და დაყვავებით ცდილობს შეუმსუბუქოს მდგომარეობა: "გმადლობთ, გენაცვალე, არ გეწყინოს, კი მინდა კანარის კუნძულებზე წასვლა, მაგრამ დრო არა მაქვს, არ ინერვიულო, შვილო, სულ ესენი ხომ არ იქნებიან, ოდესმე ჩვენც ვიმოგზაურებთ, შენც ნახავ ქვეყანას, გაიხარებ და ასე ტელეფონის რეკვით არ მოიოხებ გულსო" და სხვა ამგვარებს ეუბნება და ცდილობს გამოემშვიდობოს, რომ საღამოსათვის ნავთისა და სანთლების მოსამარაგებლად გასვლა არ დაუგვიანდეს, თან გულში იმაზე ფიქრობს, ჩაბნელებულ თბილისში სანთლით განათებულ რომანტიკულ გარემოში როგორ მოუყვება ამ სევდანარევ (მას ხომ "ფერია" შექანებული ჰგონია) ისტორიას ნავთქურის გარშემო შემოკრებილ და ამ ერთობით განმტკიცებულ ოჯახს.

მაგრამ "ფერია" არ ცხრება, ის მზადაა ამ ფსიქოლოგიური ვარიაციებისათვის და მედგრად იბრძვის... ჩვენმა ოჯახმაც კარგა ხანს იბრძოლა რამდენიმე ასეთი მიპატიჟების წინააღმდეგ, მერე ნაცნობ-მეგობრებშიც გავიკითხეთ და მივხვდით, რომ ფერიები მაინცა და მაინც არ ხუმრობდნენ...

ჩვენმა ოჯახმა სამჯერ მიიღო მიწვევა. უდავოდ საინტერესოა ის ფაქტი, რომ გვეპატიჟებოდნენ ქალაქის სხვადასხვა ნაწილში (ერთხელ, ენგელსის ქუჩის მისადგომებში, მეორედ, ვგონებ, ნუცუბიძის ქუჩაზე და მესამედ, კანდელაკის № 63-ში ( ამ მესამე მიწვევაზე სიტუაციის გასაგებად მივედით კიდეც). ოფისის (ახლა ეს სიტყვა ევრო-ამერიკული სურნელის გამო ძალზე პოპულარულია) ინტერიერი უცხოური ბიზნესის თბილისური გაგების იმიტაციას წარმოადგენდა. მოსაცდელში, სადაც ათიოდე წყვილი შეიკრიბა, პუტჩის შემდგომ შექმნილი განსაკუთრებული ტიპის ახალგაზრდობა –"სერვის-ახალგაზრდობა" იდგა გაუცხოებული და საკუთარ უპირატესობაში დარწმუნებული ადამიანის იერით. იმ წუთშივე გაჩნდა უსიამოვნო გრძნობა, რომ ვიღაც უცხომ ისინი საგანგებოდ გაწვრთნა ისე, რომ საერთო ენის გამონახვის, გულახდილობის არავითარი შესაძლებლობა არ დაეშვა. ეს გრძნობა სულ უფრო გამძაფრდა, როდესაც გამაყრუებელი მუსიკით წალეკილ მოზრდილ დარბაზში შეგვიყვანეს და წყვილ-წყვილად დაგვსვეს პატარა მაგიდებთან, მსურველებს ყავაც მიართვეს ფირმის ხარჯზე და მერე მაგიდებთან "ფერიები" მოგვისხდნენ. ჩვენი "ფერია" მუქი, სომხურაქცენტიანი რუსულით მოლაპარაკე (თან გაუთავებლად მოლაპარაკე) "საშუალოზე დაბალი" წრის სომეხი გოგონა აღმოჩნდა, რომელიც სულ ღიმილად იფრქვეოდა და "საშუალო" ქართველების გაბიაბრუებას ცდილობდა.

ფირმა ვაჭრობდა ძალიან საინტერესო პროდუქციით – დასვენების უფლებით.

ჩვენმა "შემლოცველმა" აგვიხსნა, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქში თუ საკურორტო ადგილას ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ორი კვირით დასვენების უფლება შეიძლება შეისყიდოს ნებისმიერმა წყვილმა მინიმალურ ფასებში... ერთი სიტყვით, არსი ეს იყო, თუმცა ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს სიკეთეების ჩამოთვლას ბოლო არ უჩანდა. მიწვეულ ოჯახებს სთავაზობდნენ სასწრაფოდ, იქიდან გაუსვლელად დაედოთ ორი კვირით უცხოეთის ნებისმიერ ქვეყანაში ხუთვარსკვლავიან სასტუმროში დასვენების უფლების შესყიდვის ხელშეკრულება (თუმცა მგზავრობისა და კვების ფული საკუთრივ შემსყიდველს უნდა გადაეხადა) შესყიდვის თანხები 4000 ამერიკული დოლარიდან 10 000 დოლარამდე იყო (დასასვენებელი სეზონებისა თუ სხვა ტექნიკური თავისებურებების შესაბამისად).

მკითხველის ყურადღებას ჩვენ მარტო იმიტომ კი არ მივაქცევთ ამ ამბავზე, რომ გავლიზიანდით, ტელეფონით შემთხვევით შერჩეული "საშუალო ქართველის ჯიბეში რომ 4000-დან 10 000-მდე დოლარის არსებობა დაუშვეს, არამედ ერთი ფაქტის გამოც; ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორ წარმოუდგენიათ მოხელშეკრულებო ოჯახების (ვიმეორებთ, ოჯახების!) უზრუნველყოფა უცხოური ვიზებით, მათ გვითხრეს, რომ არც ერთ საელჩოში მათი საბუთების წარმომდგენთ დაბრკოლება არ ექნებათ. დღევანდელი გართულებული სავიზო რეჟიმების ვითარებაში, როცა დამშეული სამშობლოდან მონური სამუშაოს საძებნელად მიმავალ ხალხს თითქოს საელჩოები "აკავებენ", უცებ ასეთი "რქებისა და ჩლიქების" ორგანიზაცია კანარის კუნძულებზე ნაჩუქარი საგზურით ან შესყიდული "უფლებებით" ქვეყნიერების ნებისმიერ კუთხეში გადაიყვანს არა მხოლოდ ერთ პირს, არამედ (ნოსტალგიამ რომ არ შეაწუხოს) მთელ ოჯახს (საერთოდაც, ეძებენ სწორედ რომ ოჯახებს).

ჩვენ მრავალი ფიქრი და ეჭვი აღგვიძრა ამ ამბავმა. ეჭვი იმანაც გაგვიღვივა, რომ ჩვენს შეკითხვებს მასპინძლები ფაქტობრივ არ პასუხობდნენ, თუმცა ჩვენ ძალიან ბევრ კერძო ხასიათის შეკითხვას გვისვამდნენ.

ამიტომაც, დღემდე ვერ გაგვირკვევია, ვინ ან რატომ შეიძლება აფინანსებდეს დღევანდელ მშიერ საქართველოში არარსებული "საშუალო ოჯახის" სამოგზაუროდ მიზიდვის კამპანიას; ვინ უხდის ხელფასს იმ ოცამდე თანამშრომელს, რომელიც ჩვენ იქ დავთვალეთ (თან, ცხადია, სხვებიც იქნებიან), რამდენი ადამიანი გააბრიყვეს უკვე და რატომ არ ჩანს ან პრესაში, ან ოფიციალურ სფეროებში ამ სამსახურის მოქმედებისა და იურიდიული მართებულობის ამსახველი წერილობითი დოკუმენტაცია. მართლა ტელეფონების წიგნის საფუძველზე ხდება წყვილების შერჩევა, თუ სხვა წყაროთიც სარგებლობენ (რადგან თუ მიწვევით წყვილებს იწვევენ, სამაგიეროდ, გამგზავრებას მათ შვილებსა და მათ მეგობრებსაც სთავაზობენ), სად არის რეგისტრირებული ეს ფირმა და ვინ შეისწავლა და დაარეგისტრირა იგი თბილისში (იქნებ საქართველოს სხვა ქალაქებშიც არიან ისინი?), ისინი ხომ, ალბათ, დაბეგვრასაც ექვემდებარებიან.

**გამაყრუებელი მუსიკით წალეკილ დარბაზში შეგვიყვანეს, გვერდით „ფერიები" მოგვისვეს, რომლებიც თავად უამრავ კერძო ხასიათის შეკითხვებს გვისვამდნენ, ჩვენს კითხვებს კი ფაქტობრივად არ პასუხობდნენ.**

ამ კითხვებზე პასუხები არა გვაქვს, მაგრამ გვაქვს მათი "ნაჩუქარი" ვაუჩერი: ქ.თბილისი, კანდელაკის №63, ინდექსი: 380060 "ჰოლიდეი დირექტი".

„ქუჯის“ ფოსტიდან

# ახალი დროის „ბოლშევიკები“ და „მენშევიკები“ ანუ შეხვედრა წარსულთან

ქავთარ ზურაბიშვილი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღევანდელი ე.წ. ქართული პარლამენტი პირობითად ორ ბანაკად არის დაყოფილი- უმრავლესობად და უმცირესობად. უმრავლესობას სახელად „მოქალაქეთა კავშირი“ ჰქვია და ისინი მეტნი არიან, უმცირესობას - „აღორძინების კავშირი“ და ისინი ნაკლებნი გახლავან. სხვა მხრივ თვისობრივად, გარჩევა მათ შორის არა არის რა. ღვაწლიცა და დამსახურებაც ერთნაირი აქვთ ქვეყნისა და ხალხის წინაშე: როგორც ერთნი, ისე მეორენი დეპუტატებად სხვებს არ აურჩევიათ - თავიანთი თავები თვითონ აირჩიეს და ფულის საშოვნელი დარგები, ქალაქები თუ თანამდებობებიც თანხმობით გაინაწილეს; სავარძლების მორგების შემდეგ მათი ინტერესები შორს აღარ წასულა. ერისა და ქვეყნის მიმართებით მათი საწუხარი არც ვინმეზე ვრცელდება და არც რაიმეზე ნაწილდება, იმიტომ რომ ისინი ღირსეული შთამომავალნი ბრძანდებიან თავიანთი იმ წინაპრებისა, რომლებიც საუკუნის წინ, ასევე პირობითად, ორად იყვნენ დაყოფილნი: გარეგნულად მათსავით სხვადასხვა გზებით მიელტვოდნენ მაღალ ზნეობრივ იდეალებს, ხოლო სინამდვილეში ერთი რწმენის - სოციალისტურის და ერთი საქმის - იმპერიის სიმტკიცის სამსახურში იდგნენ და სახელიც რუსული შესატყვისობითვე ერქვათ - „ბოლშევიკები“ და „მენშევიკები“.



დღევანდელი უმრავლესობა და უმცირესობა, ანუ იგივე „ბოლშევიკები“ და „მენშევიკები“, იერსახითაც ახლოს დგანან თავიანთ წინაპრებთან: ამათაც მათებრ არც ღმერთი სწამთ და არც ხატი, სამშობლოს მცნება მხოლოდ ყალბი პათეტიკისა და ერთმანეთისათვის ნიშნის მოგებისათვის სჭირდებათ და საზოგადო ინტერესები ერთნაირად ჰკიდიათ ფეხებზე.

ეგ ყველაფერი კარგი - მოქმედებითა და ქცევით ერთ რწმენას ემყარებიან, მაგრამ შინაგანი ბუნებითაც ხომ უნდა იყოს შეთანხმებული ურთიერთობა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის?- კითხულობდნენ ადრევე და ამ კითხვაზეც მზა ჰქონდათ პასუხი: „წარმოვიდგინოთ, რომ სოფლის შარაგზაზე დევს ფუნა. გამოიარა გლეხმა თავისი ურმით, გადაუარა მას. ერთ მხარეს მეტი ფუნა დარჩება, მეორე მხარეს - ნაკლები. აი, ეს არის განსხვავება: აქეთ-ბოლშევიკები, იქით-მენშევიკები“.

ასეთივეა ჩვენი დღევანდელი პარლამენტიც, როგორც ფუნა დევს გზაშარის შუაში. ურემს ჩავლილი აქვს გზაზე. ბორბალმა უკვე გადაუარა - ერთ მხარეს დარჩა უმრავლესობა, მეორე მხარეს - უმცირესობა. ურემმა ხომ გაიარა და ჩოჩიალ-ჩოჩიალით მიჭრიალებს თავის გზაზე...

ფუნა კი დევს თავისთვის გზაზე - არც არაფერი აკლდება და არც არაფერი ემატება. ეგ არის მხოლოდ, წუხდება ხალხი და ვიდრე არ აიღებენ გზიდან და გადააგდებენ, სულ ასე შეწუხებული იქნება სიმყრალისაგან!

# ადამიანები ნაგავსაყრელებზე

ლევან ფრუიძე

სახლი, სადაც ვცხოვრობ, ქალაქის განაპირას მდებარეობს. მას გვერდით ქუჩა ჩაუყვება, რომელსაც ყოველ დილით ქარსა თუ წვიმაში, დარსა თუ ავდარში ჯან-ღონით სავსე მამაკაცთა მთელი არმია ადგას, რომლებიც საღამოობით უკან ბრუნდებიან დამურული და ზურგზე ტომრებაკიდებულნი. დამაინტერესა, თუ სად მიდიოდა და რას საქმიანობდა ეს ხალხი და ერთ დღეს მოშორებით უკან ავედევნე. გზამ ნაგავსაყრელზე მიმიყვანა, რომელიც სირაქლემასავით მიწაში თავჩარგული ადამიანებით იყო სავსე და, ვინ იცის, მერამდენედ თხრიდნენ უკვე 1000-ჯერ გადაჩიჩქნილ მიწას, რათა იქ ფერადი მეტალის ნარჩენები ეპოვნათ და ასე ერჩინათ ოჯახები. არადა ეს ის ხალხია, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ ფაბრიკებსა თუ ქარხნებში, დაზგებთან იდგნენ და პროდუქციას ქმნიდნენ. ე.წ. მთავრობამ კი დანადგარები დაჭრა და თურქეთის მარტინის ღუმელებში უკრა თავი, ხოლო ხალხი



სანაგვეზე მოისროლა. ვუყურებდი ამ გასაცოდავებულ ხალხს და გამახსენდა 10 წლის წინანდელი ამბავი: მაშინ მთავრობის სახლის წინ ვიდექი და ჩემს კანონიერ ხელისუფლებას ვიცავდი, ხოლო იქვე გვერდით I-ელ საშუალო სკოლასთან ოპოზიციონერთა მიტინგი მიმდინარეობდა. დამაინტერესა, თუ რას ამბობდნენ და ცოტა ხნით მათ რიგებს შევუერთდი. სა-

**დე ფაქტო ხელისუფლებას ლომის წილი მიუძღვის ნაგავსაყრელზე ღორების ადამიანებით შეცვლაში. ასეთი პარლამენტის თავმჯდომარეზე ამბობს ვ. ბოჭორიშვილი: „პარლამენტში ზურაბი ყველაზე პატიოსანი კაცია“.**

დაც მომავალი პუტჩისტები ერთმანეთს ეცილებოდნენ და „შესამკობი სიტყვებით“ იხსენებდნენ პრეზიდენტს, უცებ მომიტინგეთა შორის ჩოჩქოლი შეიქნა. შემაღლებული ადგილიდან ერთ-ერთმა ორატორმა დაიძახა: გზა მიეცით ზურაბ ჟვანია მოდისო და იმ წუთშივე შემოიჭრა შემაღლებულ ადგილზე გაოფლიანებული და აქოშინებული ჟვანია. მიკროფონს ხელი დაავლო და საზოგადოებას ბოდიში



მოუხადა მოუწესრიგებელი გამოცხადებისათვის. იქვე დასძინა: „სამაგიეროდ ამბავი მოგიტანეთ, რომელიც გამსახურდიას უპასუხისმგებლობაზე მეტყველებს და როგორ შეიძლება ასეთი პრეზიდენტი ყავდეს ქვეყანასო“. თურმე ბატონი ზურაბი თბილისის ნაგავსაყრელებზე ყოფილა და იქ უნახავს დამტვრეული დღის ნათურები. „ხალხო, ეს ნათურები ვერცხლის აირს შეიცავს, რომლითაც იქვე მყოფი ღორები იწამლება და შემდეგ მოწამლულ ღორის ხორცს ადამიანები მიირთმევენ. ეს არის ქვეყნის ეკოლოგიური კატასტროფაო“ - გაჰყვიროდა მთელი ხმით „მწვანე მეცნიერი“. ჰოდა, ამ ზურაბსა და მის რაზმს ლომის წვლილი მიუძღვით ნაგავსაყრელებზე ღორების ადამიანებით შეცვლაში. ასეთ კაცზე ამბობს ხშირად მხცოვანი დეპუტატი ვახტანგ ბოჭორიშვილი - ყველაზე წესიერი და პატიოსანი კაცი პარლამენტში ზურაბ ჟვანიააო.

# ყველანი სიმართლის სამსახურში

გიორგი დანელია

მამულიშვილნო, უკიდურესი შეჭირვების ჟამს, როდესაც მიზნობრივად რუსეთის კგბ-ში წინასწარ შედგენილი სცენარის მიხედვით საქართველოს მტრებმა მიიყვანეს ქვეყანა დამოუკიდებლობის სრულ დაკარგვამდე, ხოლო ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი სასოწარკვეთამდე, მოგიწოდებთ ყველას, გავერთიანდეთ კანონიერი ხელისუფლებისა და „მრგვალი მაგიდის“ გარშემო სამშობლოს გადასარჩენად; მიუხედავად პირადი ამბიციებისა, სიმპათიებისა და ანტიპათიებისა, უზენაესი საბჭოს სხვა დეპუტატებიც მოვიდნენ კოლხურ კოშკში და მიიღონ მონაწილეობა მის მუშაობაში; შეწყდეს უაზრო პოლემიკები და ფსევდოეროვნული რიტორიკა; დროა, ყველა დავდგეთ ბატონი ზვიადის ნაჩვენებ ძნელ, მაგრამ სამართლიან გზაზე; ავიღოთ ჩვენს თავზე პასუხისმგებლობა; გავემიჯნოთ სისხლით მოსულ ხელისუფლებას, მის გამყიდველურ პოლიტიკას... საქართველოს გადაარჩენს უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობის საფუძველზე დანიშნული საყოველთაო, სამართლიანი არჩევნები, რაც საფუძველი გახდება ჭეშმარიტი ეროვნული თანხმობისა.

ყველა იმ ცრუ ოპოზიციურ პარტიებსა და ვითომ ეროვნულ მოღვაწეებს, რომლებიც უარს იტყვიან „მრგვალი მაგიდის“ მემორანდუმის სამართლიან და იურიდიულად უხინჯო პრინციპებზე, დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ერისა და ქვეყნის წინაშე კრიტიკულ მომენტში თავიანთი ქმედებისა თუ უმოქმედობის გამო. ყველანი კოლხურ კოშკში! გვფარავდეს ღმერთი!

## კადრები ქუთაისის უახლოესი წარსულიდან

ჟანა ლეჟავა

1991 წლიდან ვმუშაობდი ერთ-ერთი სოფლის საკრებულოს მდივნად, არჩეული ვიყავი ამავე საკრებულოს დეპუტატად. იმ ავბედით დღეს, 22 დეკემბერს, როცა ტელევიზიით გადაცემდა ...ვად იწვევდა.

შევედით პრეფექტ არჩილ კოსტავასთან. თუ არ ვცდები, შაბათ-კვირა იყო. ვთხოვეთ ქალაქის თავს, დაგვხმარებოდა, უზრუნველეყო ამ ხალხის თბილისში გამგზავრება. ა.კოსტავამ ფექტს: მამული თავზე გვენგრევა და რა დროს დასვენებაა- მეთქი. აღშფოთებული ხალხის დასამშვიდებლად გამოვიდა ერთი პიროვნება, რომელმაც თავი პრეზიდენტის რწმუნებულ ბარათაშვილად გაგვაცნო და დაგვიყვავა, ნუ ღელავთ, ყველაფერი კარგად

### აღელვებული საზოგადოება არ ცხრებოდა და კოსტავასთან შესვლას ითხოვდა

მოიცემოდა, თუ როგორ უშენდნენ ტყვიებს მთავრობის სახლს ჯალათები, პირადად დავაყენე საკითხი გაგვეწია დახმარება ჩვენს მიერ არჩეული ხელისუფლებისათვის, შეგვეგროვებინა ხალხი, ჩავსულიყავით ქუთაისში და ერთობლივი ძალებით წავსულიყავით დედაქალაქში, ასეც გადაწყდა.

ქუთაისში უამრავ ხალხს მოეყარა თავი მერიასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. აქვე იყვნენ სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულებიც. მოვიტანეთ ტელევიზორი მერიის შესასვლელში, მთელი საზოგადოება გულისყურით უსმენდა ინფორმაციებს, ყველას აინტერესებდა რა მდგომარეობა იყო თბილისში. იქიდან კი გულისგამგმირავი ამბები ისმოდა, მთავრობა ხალხს თავისუფლების დასაცა-

ტავამ კი ასე გვიპასუხა: ახლა დასვენების დღეებია, ავტობუსები ფარეხებში დგანან და არაფრით შემიძლია დაგეხმაროთო. ქვეყნის ნგრევით ისე-



დაც გამწარებულ ხალხს ამ პასუხმა ცეცხლი წაგვიკიდა, თითქოს საექსკურსიოდ გვსურდა თბილისში წასვლა, ყველა თავის გულისტკივილს ამბობდა, მე პირადად შევეკამათე პრე-

იქნება, პანიკას ნუ შექმნითო. აღელვებული საზოგადოება არ ცხრებოდა და კოსტავასთან შესვლას ითხოვდა, მაგრამ ბარათაშვილს თავის ოთახში გაჰყავდა ისინი და ამშვიდებდა, დღეს და ხვალ თუ არ ხერხდება გამგზავრება, მომავალში იყოსო. ხალხმა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ვერაფერი სანუგეშო რომ ვერ მიიღო, თვითონ, მართალია, არაორგანიზებულად და ცალ-ცალკე ჯგუფებად, მაგრამ მაინც მოახერხა თბილისში ჩასვლა, თუმცა იქ მთავრობის სახლამდე უკვე ვეღარ მიაღწია, რადგან გზები შეიარაღებულ პუტჩისტებსა და ტანკებს ჰქონდათ გადაკეტილი.

ნეტავ ფეხით ჩავსულიყავით თბილისამდე, იქნებ გადაგვერჩინა ჩვენი ხელისუფლება და საკუთარი თავიც...

## ცნობები დანარჩენი მსოფლიოდან

●●●

მემარჯვენე ძალთა კავშირის (СПС) თავმჯდომარე ა. ჩუბაისი და თათრეთის პრეზიდენტი მ. შაიმიევი ერთობლივად ამუშავებენ ძლიერი საერთორუსული ისლამური პოლიტიკური მოძრაობის პროექტს. საინფორმაციო წყაროთა ცნობით, ჩუბაისსა და შაიმიევს სურთ შექმნან ახალი პარტია, რომელიც შეძლებს კონსოლიდირება გაუწიოს და საჭირო მხარეს მიმართოს ათეულობით რუს მუსულიმანთა პოლიტიკური რესურსი.

●●●

აზერბაიჯანის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბ-ბინაში გაიმართა ქვეყნის 50-ზე მეტ პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა ერთობლივი სხდომა, რომელიც მიეძღვნა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სადავო მთიანი ყარაბახის პრობლემების განხილვას. პოლიტიკურ პარტიათა ხელმძღვანელებმა აზერბაიჯანელ ხალხს მოუწოდეს, პროტესტი გამოხატონ მთავრობის მიერ ამ კაპიტულანტურ პროექტზე ხელმოწერის გამო.

●●●

რუსეთში ნარკომანების რიცხვი კატასტროფულად იზრდება - განაცხადა მოსკოვში ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის გაეროს რეგიონალური წარმომადგენლობის მეთაურმა ბ.დატომ. რუსეთის ხელისუფლების ინფორმაციით, გასულ წელს ქვეყანაში 390000 ნარკომანი აღირიცხებოდა, თუმცა, არაოფიციალური მონაცემებით - ხაზი გაუსვა გაეროს წარმომადგენელმა - ნარკომანთა რიცხვი რუსეთში 3 მლნ. კაცს აღწევს.

●●●

რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამხარეოს ცნობით, პუტინი გააღიზიანა რუსეთ-ბელორუსიის სახელმწიფოთა კავშირის სახელმწიფო მდივნის ბოლოდროინდელმა ქმედებებმა. ბოროდინის განცხადებით, პუტინი ისე იქცევა, თითქოს მისთვის ყველაფერი ნებადართულია.

●●●

ჩეჩნეთში, დედაქალაქის მე-6 მიკრორაიონში პატრიოტთა ჯგუფმა გაანადგურა აგრესორთა საბრძოლო ტექნიკით დატვირთული ავტომანქანა. ორმხრივი სროლების შედეგად ოთხი აგრესორი ადგილზე გარდაიცვალა. ბრძოლები არ წყდება იალხოი-მოხკისა და შირდი-მოხკის დასახლებულ პუნქტებში, რომლებსაც ძირითადად აწარმოებენ ემირ აბუდარისა და ჩიტიგოვ რიზვანის ჯგუფები. მათ მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგად, მოკლულია 11 რუსი ჯარისკაცი და განადგურებულია რამდენიმე საბრძოლო ერთეული.

## ჩვენი რწმენა

# მარხვა

ყოველი მართლმადიდებელი სულის განწმედისათვის მიმართავს ღრმა სინანულს და ეკლესიის მიერ დადგენილ მარხვას. დათმენა ქრისტიანისათვის გამოიხატება მის ცხოვრებისეულ ყოფაში. ის ზომიერად უნდა იკმაყოფილებდეს მოთხოვნილებებს. მარხვა ადამიანს სულსა და სხეულს, გონებასა და გრძნობას შორის ჰარ-



მონიის აღდგენის საშუალებას აძლევს. მარხვასა და ლოცვას მივყავართ უმაღლეს საწყისამდე - ღმერთამდე.

არქიმანდრიტი რაფაელი წერს: „ბევრი ადამიანი ამბობს: ღმერთთან ურთიერთობისათვის აუცილებელია სიყვარული. მაშ რა მნიშვნელობა აქვს მარხვას? ყველაზე ხშირად ასე ლაპარაკობს ის, ვისაც სურს გაამართლოს კუჭის მონობა და არ ალაგმოს გაუმაძღრობა. მაღალფარდოვანი ფრაზებით ადამიანი მალავს შიშს სტომაქის წინაშე“.

მარხვა ეხმარება ადამიანს, აღიდგინოს სულიერ ძალთა იერარქია, ადამიანი წინ უნდა აღუდგეს ზედმეტი განცხრომის სურვილს. ხშირია შემთხვევა, როდესაც მას მთავარი ყურადღება გადატანილი აქვს მხოლოდ საკვების შეზღუდვაზე, მთავარი კი ავიწყდება - სულიერი მარხვა. იესო ქრისტე ბრძანებს: „სასუფეველი ცათაი იძულების, და რომელნი აიძულებდნენ, მათ მიიტაცონ იგი“. მარხვა ეხმარება სულს, დაიმორჩილოს ვნებები, ადამიანს ათავისუფლებს მიწიერისადმი უაზრო მიდრეკილებისაგან. გამუდმებული ძალისხმევისა და ნებისყოფის დაძაბვის გარეშე მცნებების დაცვა შეუძლებელია. უპირველესად, მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ ქრისტიანულ სიყვარულს, რომელიც თავი და თავია ყველა სათნოებისა. ეს განსაკუთრებული მსხვერპლია ღვთის წინაშე.

ძველი ქრისტიანები მარხვის მცნებას მოწყალებასთან აკავშირებდნენ. მათ ჰქონდათ ასეთი წესი: საჭმლისათვის დაგროვილი ფული დღესასწაულებზე მათხოვრებისათვის დაერიგებინათ.

მარხვები წინ უძღვის დიდ ქრისტიანულ დღესასწაულებს. მარხვა და სინანული წმენდს ადამიანს ცოდვებისაგან. აქედან გამომდინარე, არამმარხველ ადამიანს დღესასწაულის სიხარულის შეგრძნება არ შეუძლია.

მარხვის განმავლობაში, ზემოაღნიშნულის გარდა, ძირითადი ყურადღება ეთმობა, აგრეთვე: საჭმელ-სასმელის ზომიერად მიღებას, ზოგიერთი საკვების საერთოდ აკრძალვას (იგულისხმება ხორცის ნაწარმი, რძე, კარაქი, ყველი). მარხვის დროს ადამიანის სხეული ემორჩილება სულს, სული კი - უფალს.

ზოგი მარხვა ბიბლიური ისტორიის სამწუხარო მოვლენებს ეძღვნება. ოთხშაბათი დაწესებულია იუდას მიერ ქრისტეს გაცემის გასახსენებლად. პარასკევი - ქრისტეს ჯვარცმისა და სიკვდილის დღეა. არქიმანდრიტი რაფაელი ბრძანებს: „ვინც ოთხშაბათს და პარასკევს არ მარხულობს და ამბობს ღმერთი მიყვარსო, თავს იტყუებს. განა ჭეშმარიტად შეყვარებული ადამიანი სატრფოს ცხედართან მუცლის ამოყორვაზე ფიქრობს? ის, ვინც ოთხშაბათს და პარასკევს მარხულობს, ქრისტეს ვნებათა განცდის განსაკუთრებულ ნიჭს იძენს“.

მარხვა თვით ღმერთმა დაადგინა სამოთხეში. ადამ და ევას სამოთხეში უფალმა ნება დართო ყველა მცენარისა და ხის ნაყოფი მიეღოთ, გარდა ერთისა, ღმერთმა მათ აუკრძალა კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფის მიღება. სწორედ ამ პირველი მარხვის დარღვევას მოჰყვა შედეგად კაცობრიობის ცოდვით დაცემა.

რა სარგებლობა შეუძლია მოგვიტანოს მარხვამ?

მარხვა სასარგებლოა სხეულისთვისაც. გამოცდილი ექიმები აღნიშნავენ, რომ საკვების ზომიერი მიღება და ზოგ შემთხვევაში, საერთოდ, თავშეკავება არა მარტო იცავს ადამიანს ამა თუ იმ ავადმყოფობისაგან, არამედ ავადმყოფობის დროსაც განკურნებას უწყობს ხელს.

წმიდა წერილი ამბობს: „გაუმაძღარი ნუ იქნები განცხრომაში და საჭმელ-სასმელს ნუ დაეხარბები. რადგან ბევრი ჭამისაგან ჩნდება სენი და გაუმაძღრობამ გულისრევა იცის, გაუმაძღრობით მრავალნი აღესრულნენ.“

ბევრი მარხვას ვითომ ჯანმრთელობის შენარჩუნების მომიზეზებით არღვევს. ღმერთმა ადამიანს თავიდან მცენარეები დაუდგინა საკვებად. ჩვენი ორგანიზმი ადვილად ინელებს ასეთ საკვებს, სამაგიეროდ ცხოველური საკვები მალე აბერებს მას.

ადამიანს, რომელიც მარხულობს, ღმერთი იფარავს. წმიდა წერილიდან ვეცნობით, რომ მარხვისა და სინანულის გამო ბევრს მიუტევა უფალმა ცოდვები და იხსნა ისინი განსაცდელისაგან. მრავალი წმიდა ეკლესიის მოღვაწე მამები ცხოვრობდნენ თავ-

> „მარხვა ეხმარება ადამიანს, აღიდგინოს სულიერ ძალთა იერარქია. ადამიანი წინ უნდა აღუდგეს ზედმეტი განცხრომის სურვილს. ხშირია შემთხვევა, როდესაც მას მთავარი ყურადღება გადატანილი აქვს მხოლოდ საკვების შეზღუდვაზე, მთავარი კი ავიწყდება - სულიერი მარხვა“.

შეკავებითა და მკაცრი მარხვებით.

მოსე წინასწარმეტყველმა 40 დღე იმარხულა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო სინას მთაზე უფლისაგან რჯული, ილია წინასწარმეტყველი 40 დღიანი მარხვის შემდეგ გახდა ღირსი ქორების მთაზე დავითის დიდების ხილვისა, წმიდა იოანე წინასწარმეტყველიც მკაცრად მარხულობდა, იესო ქრისტემაც მკაცრად იმარხულა 40 დღე უდაბნოში და სძლია ეშმაკის ყველა ცდუნებას.

მარხვა სასარგებლოა სულისათვის. წმიდა მოციქული პავლე ამბობს: „ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი ხორცის საწინააღმდეგო, ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რათა აკეთონ არა ის, რაც გსურთ“ (გალატელთა 5,17).

წმიდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „სავსე სტომაქი სალ აზრს ვერ წარმოშობს“. „გემოთმოყვარე ადამიანი ზრუნავს და შრომობს იმისათვის, თუ როგორ ამოივსოს კუჭი ათასგვარი სისაძაგლით; როცა დანაყრდება, იტანჯება საჭმლის მონელებით, თავშეკავებას კი მოაქვს ჯანმრთელობა და სიფხიზლე“ - ამბობს წმიდა ეფრემ ასური.

ეკლესიის სწავლებით, ხორციელი მარხვა სულიერ მარხვასთან უნდა იყოს შერწყმული, თავი შევიკავოთ სანახაობებისაგან, ფუჭი საუბრისაგან, მოვერიდოთ ყოველივეს, რაც უსარგებლოა და ფანტავს გონებას. მარხვასთან უნდა ახლდეს საკუთარ ცხოვრებაზე ფიქრი და საკუთარი თავის განსჯა. რაც მთავარია, მარხვა ქრისტიანული ტრადიციით, წყენათა ურთიერთშენდობით იწყება. წმიდა მამები გვასწავლიან: „ღვარძლიანი გულით მარხვა, მორიელის მარხვას ჰგავს. მიწაზე ბინადართა შორის იგი ყველაზე დიდხანს ძლებს უჭმელი, მაგრამ მომაკვდინებელ შხამს მაინც გამოყოფს“.

მასალა მოამზადა
თეა ცირეკიძემ

## მეცნიერება

### სიმონ არველაძე

# ნიცშე და გრიგოლ რობაქიძე

ვინც საფუძვლიანად არ იცნობს ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიურ კონცეფციას, ასევე გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას, მას შეიძლება პარადოქსად მოეჩვენოს ამ ორი სახელის დაწყვილება; მაგრამ უნდა ითქვას, იმის მიუხედავად, რომ ისინი თავისთავადი, მკვეთრად განსხვავებული ინდივიდუალობანია, მწერლურ-მსოფლმხედველობრივი თვალთახედვით მათ შორის შეიძლება მოიძებნოს ზოგიერთი შეხების წერტილი. კიდევ მეტი, შეიძლება ითქვას, ნიცშეს საკმაოდ ძლიერი გავლენაც კი მოუხდენია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებით განვითარებაზე, როგორც მისი ცხოვრების საწყის ეტაპზე, ასევე საზღვარგარეთ ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდშიც.

რაკი გავლენაზე ითქვა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ აზროვნებას ყურადღების გარეშე არ დარჩენია ნიცშეს შემოქმედება. გერმანელი მწერლისა და ფილოსოფოსის გავლენა, გრიგოლ რობაქიძის გარდა, სხვა ქართველებსაც განუცდიათ. მაგალითად, ქართველმა ფილოსოფოსმა კონსტანტი-

> კარგად დაიხსომეთ: სამშობლოს გარეშე არ არსებობს არავითარი ბედნიერება

ნე კაპანელმა თავისი, ე.წ. „ორგანოტროპიზმის“ თეორია შექმნა სიცოცხლის ფილოსოფიის ფუძემდებლის ნიცშესა და ფრანგი ფილოსოფოსის ანრი ბერგსონის ინტუიტივიზმის გავლენით. „ზარატუსტრას“ ავტორის მრწამსი თავისებურად აირეკლა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაშიც /„დიონისოს ღიმილი“/. ნიცშეს ფილოსოფიით ქართველთა დაინტერესების შესახებ მიუთითებდა თვით კონსტანტინე გამსახურდია თავის მემუარულ ნაწარმოებში „ლანდებთან ლაციცი“.

ჯერ კიდევ 1911 წელს „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე ნიცშეს ნააზრევის ირგვლივ მძლავრი პოლემიკა გაუმართავთ გრიგოლ რობაქიძესა და დავით კასრაძეს. მათ შორის ყოფილა ერეკლე ტატიშვილიც, ნიცშეს მიმდევარი, რომლის ესეი ამ დიდი ფილოსოფოსის აზროვნების ევოლუციაზე გამოირჩეოდა ზუსტი დაკვირვებით. 1922 წელს ნიცშესადმი მიძღვნილ საღამოებზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ნიცშეანელობა საქართველოში ახალ მიმდინარეობად იქცა და მას ბევრი მიმდევარიც გამოუჩნდა. ამასთან ერეკლე ტატიშვილმა მრავალი წელი შესწირა „ზარატუსტრას“ თარგმნას და ამით შესაძლებლობა მოგვცა ქართულ ენაზე გავცნობოდით მსოფლიო ფილოსოფიური აზრის ამ შესანიშნავ ძეგლს.

როგორც ცნობილია, გრიგოლ რობაქიძემ სამშობლო დატოვა 1931 წლიდან. მანამდე იგი საქართველოში კარგად ცნობილი იყო, როგორც პოეტი და ბელეტრისტი, რაც მთავარია, ერთბაშად პოპულარული გახდა „გველის პერანგით“, რომელიც 1925 წ. გამოქვეყნდა და მალე ითარგმნა გერმანულად. ამ რომანს წინასიტყვაობა დაურთო დიდმა ავსტრიელმა მწერალმა შტეფან ცვაიგმა. მისი შეფასებით, რაბინდრანათ თაგორის შემდეგ, გრიგოლ რობაქიძე არის ის მწერალი, რომელმაც დასავლეთს გააცნო აღმოსავლეთის უძველესი კულტურა, მითების და ლეგენდების ქვეყანა, ერთ-ერთი უძველესი ერი ქართველების სახით.

უცხოეთში გამგზავრებამდე, როგორც აკად. შალვა ნუცუბიძე წერდა თავის მოგონებაში /„1907-1908 წლების იდეალური ვითარება საქართველოში და მის გარეთ,“ „მნათობი“, 1976/, საქართველოში ევროპიდან, ფაქტობრივად გერმანიიდან, შემოიჭრა ცნობილი ლექტორი, გერმანულად განსწავლული და დასავლური კულტურის აპოლოგეტი, ვინმე გრ. კავკასიელი; ასე აცხადებდა იგი თავის პირველ სალექციო აფიშაში. შალვა ნუცუბიძის ამ მოგონებას რამდენადმე ირონიული ელფერი დაჰკრავს. ეს აიხსნება იმით, რომ ათიან წლებში ამ უკვე ცნობილ ლექტორსა და ჭაბუკ სტუდენტ შალვა ნუცუბიძეს შორის გამართულა პაექრობა რიგ საკითხებზე. შალვას შეშინებია, კამათში გაჰყოლოდა გამოცდილ ლექტორს, რადგან იგი ჯერ კიდევ სტუ-



გ. რობაქიძის უკანასკნელი ფოტო

დენტი იყო, ხოლო გრიგოლ რობაქიძე საკმაოდ სახელმოხვეჭილი ლექტორი და მწერალი; მისივე თქმით, იგი თურმე დასავლეთში ეკამათებოდა ისეთ დიდ ფილოსოფოსს, როგორიც რიკერტი იყო და არ უკადრებია შალვა ნუცუბიძესთან პაექრობა.

გაგრძელება მომდევნო ნომერში

## ლიტერატურა

### მარსიანი

**რისხვა გამოგონილ ილიონთან**

დუელში გიწვევთ, ბატონო ჩემო!
რას გემართლებით? თქვენ ხართ ფიტული
და ძალგიძთ თავი უფლისწულად რომ მოაჩვენოთ...
დაბრალებული გამკობთ ტიტული!

ძალიან ხშირად მეჩრებით თვალში...
ჩემს თეთრ შუქურას ეფარება თქვენი პროფილი,
გამოგიგლოვონ დროზე მაინც, არ დაგრჩნენ ვალში,
გალავნის კართან რომ იქნებით ქვედამხობილი!

ბატონო ჩემო, მე დუელში გიწვევთ ამ დილით:
ეს მსხვერპლი ჩემი თეთრი მზის არის,
სულ მალე მეც ხომ ჩემი წილი მელის სიკვდილი,
ჩემს ქუსლსაც დაფლეთს მოღალატის ბასრი ისარი!

### ცეზარ ტაბატაძე

* * *

ეს მერამდენედ მოვიდა წვიმა,
მზე აღარ აფრქვევს ოქროსფერ ღიმილს,
არ ეკიდება ცეცხლი სველ „პრიმას“,
ასანთს ჰკიდია წვეთები წვიმის.

როგორც პატარას, წვიმაში გასულს,
მოგძახი ისევ გამიცივდები.
ხშირად არ ვიცი, რა მინდა, რა მსურს,
გკარგავ და მაინც მრჩება იმედი.

ქოჩორს მისველებს წვიმა შხაპუნა.
არ მინდა, როგორც ჭრაქი ვბოლავდე,
მოდი, ღიმილი გადმომაპკურე,
რომ გავმთლიანდეთ ბოლოს და ბოლოს.

ქარი მიწეწავს ქოჩორს ნაწვიმარს,
ქარი არის თუ შენი თითები.
მე ... სიგარეტის სველი ნამწვი ვარ,
შენ ... სანთელივით ველარ ითები.

# კარიკატურისტის კომენტარები



თ.შაშიაშვილი:

**„პრეზიდენტს ქვეყანაში წაართვეს ძალაუფლება და იგი მან უნდა დაიბრუნოს“**

გაზეთი „რეზონანსი“



ვ. რჩეულიშვილი:

**„ჟვანია პირველი პოლიტიკოსია, რომელმაც პრეზიდენტი გახედნა“.**

გაზეთი „კვირის პალიტრა“


## იყიდეთ ან გამოიწერეთ

გაზეთი „ქუჯი“,

რომელშიც წაიკითხავთ: ინფორმაციებს კოლხური კოშკიდან და საქართველოს სხვა ახალ ამბებს; გაეცნობით მასალებს მსოფლიოს დღევანდელი ცხოვრების შესახებ... გაზეთს აქვს აგრეთვე რუბრიკები: „ჩვენი კულტურა“, „ისტორიის გაკვეთილები“, „ჩვენი რწმენა“, „მრუდე სარკე და სინამდვილე“ „ჩვენი ბედოვლათობა“, „კადრები უახლესი წარსულიდან“, „ტვინსაწნეხი“, „თანამედროვე დიასახლისი“, „დონე“ და სხვა.

შეგახსენებთ, რომ დიდი ქართველი მოღვაწე და ეგრისის ერისთავი ქუჯი ფარნავაზ მეფესთან ერთად საქართველოს პირველი დიდი გამაერთიანებელია.

საქართველოს იხსნის ქუჯის ცნობიერების აღორძინება.

იყიდეთ ან გამოიწერეთ გაზეთი „ქუჯი“.


## სხვადასხვა ◦ სხვადასხვა ◦ სხვადასხვა

## ექიმი

### თირკმლების მკურნალობა



მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ თირკმლის რესურსები სრულიად საკმარისია 200 წლის განუწყვეტელი მუშაობისათვის. მაშ, რატომ გამოდის ის მწყობრიდან 40–50 წლის განმავლობაში? თირკმლის ანთება, შეშუპებები, კენჭი, სილა დაკავშირებულია ფსიქიკურ ფაქტორებთან, განსაკუთრებით მძაფრ ემოციებთან, ამავე დროს არასწორ კვებასთან, სხვადასხვა ფაფებთან, ტკბილ საკვებთან, A ვიტამინის ნაკლებობასთან და სხვა.

კენჭები ყველაზე ხშირად გროვდება მარჯვენა თირკმელში, რადგანაც მსხვილ ნაწლავს მარჯვენა მხარეს გააჩნია თხელი კედელი, საიდანაც ტოქსიკური ნივთიერებები ადვილად აღწევენ მარჯვენა თირკმელში.

გთავაზობთ თირკმლის გაწმენდის რამდენიმე მეთოდს, რომელიც, ვიმედოვნებთ, ძალიან დაგეხმარებათ:

I მეთოდი – ნიახურით, ოხრახუშითა და თაფლით.

ვიღებთ 1 კგ. ახალ ოხრახუშს ფესვებიანად და 1 მსხვილ ნიახურის ფესვს. დავაქუცმაცებთ, ვამატებთ 1 კგ. თაფლს და 1 ლიტრ წყალს. დავადგამთ ნელ ცეცხლზე და მივიყვანთ ადუღებამდე, თან ვურევთ. ვაჩერებთ 3 დღე თავდახურულ ემალირებულ ჭურჭელში. 3 დღის შემდეგ ვამატებთ 1 ლიტრ წყალს და ხელახლა მივიყვანთ ადუღებამდე. გავწურავთ თბილ მდგომარეობაში. ამ სითხეს ვღებულობთ 3 სუფრის კოვზს ყოველი ჭამის წინ 30 წთ. ადრე 2 კვირის განმავლობაში.

II მეთოდი – კამის თესლით

1 ჩ/კ კამის დასრესილი თესლი ვადუღოთ 1,5 ჭიქა მდუღარე წყალში 10–15 წთ. გაცივების შემდეგ გავწუროთ და მივიღოთ 100–100 გრ. 3–ჯერ დღეში ჭამის წინ, ან მივიღოთ დღეში 3 ჯერ 1 გრ. დასრესილი კამის თესლი მცირე რაოდენობის წყალთან ერთად.

III მეთოდი – ასკილის ფესვებით

2ს/კ ასკილის დაქუცმაცებულ ფესვს დავასხათ 1 ჭიქა ანადუღარი წყალი, ვადუღოთ 15 წთ, შემდეგ გავწუროთ. მივიღოთ 1/3 ჭიქა 3–ჯერ დღეში, თბილი სახით, 2 კვირის განმავლობაში.

## დიასახლისი

### სამარხვო ნამცხვარი



1) 2 ჭიქა გახეხილი ვაშლი, 4 ჩაის ჭიქა შაქარი, 1 ჭიქა გატარებული ნიგოზი, 1 ჩაის ჭიქა ქიშმიში, 2 სუფრის კოვზი სოდა-ძმრით, 2 ჩაის ჭიქა წყალი, ვანილი გემოვნებით, 3 ჩაის ჭიქა ფქვილი.

ყველაფერს ამას ავურევთ ერთმანეთში და გამოვაცხობთ. შეიძლება მოცემული მასა გავყოთ ორ ნაწილად და შიგ წავუსვათ პავიდლო. თავზე მოვასხათ მინანქარი.

მინანქარი:

1ს/კ. ზეთი, 2ს/კ. კაკაო, ნახევარი ჩაის ჭიქა შაქარი, ცოტა წყალი.

2) 1ჩ/ჭ. ვაშლი, 1ჩ/ჭ. ზეთი, 1/2 ჩ/ჭ. ნიგოზი, 1/2 ჩ/ჭ. ქიშმიში, 1ჩ/ჭ. შაქარი, 1ჩ/კ. სოდა-ძმრით, 2ჩ/ჭ. ფქვილი. ეს ყველაფერი კარგად აურიეთ. ჩაასხით ყალიბში და გამოაცხვეთ.

### საწებლები:

#### ბროწეულის წვენი ნიგვზით

ნიგოზი, ქინძი, ნიორი, წიწაკა და მარილი კარგად დანაყეთ, დაუმატეთ ბროწეულის წვენი, ადუღებული გრილი წყალი და აურიეთ.



მასალად საჭიროა: სამი მეოთხედი ჩაის ჭიქა ბროწეულის წვენი, ნახევარი ჩაის ჭიქა ნიგოზი, ნახევარი ჩაის ჭიქა წყალი, 2-3 ძირი ქინძი, 2 კბილი ნიორი, წიწაკა და მარილი გემოვნებით.

#### ისრიმ-მაყვლის საწებელი ნიგვზით

მკვახე ყურძნის მარცვლები (ისრიმი) შეწითლებული და მწიფე მაყვალი კარგად გარეცხეთ ცივი წყლით, დაჭყლიტეთ ხის კოვზით და გამოადინეთ წვენი. ამ წვენში აურიეთ დანაყილი ნიგოზი, ნიორი, ქინძი, წიწაკა და მარილი.

#### შინდის საწებელი



მწიფე შინდი (უმი) გახეხეთ თუშფალანგში, შეურიეთ ანადუღარი, შეგრილებული წყალი, დაუმატეთ დანაყილი წიწაკა, ნიორი, ხმელი სუნელი, წვრილად დაჭრილი ქინძი, კამა, მწვანილი გემოვნებით, მარილი და ჩაასხით ჭურჭელში.

## კვიმატი

### ხუმრობენ ქუთაისელი „პიკასოს ბიჭები“



ჭირისუფალი:
- საწყალი ჩემი ქმრისთვის კუბო მუხის აჯობებს თუ ფიჭვის?
- მე მგონი, მუხის.
- რატომ?
- ზუსტად ვერ გეტყვით, ამბობენ ჯანმრთელობას უხდებაო.

ვიდეოპატრული 02 აცხადებს:

1. ნაპოვნია ახალგაზრდა მკვლელი, ვეძებთ გვამს.

2. დღეს აღნიშნულ პროსპექტზე უნდა მომხდარიყო საშინელი ავტოკატასტროფა – გზის შეკეთებასთან დაკავშირებით ეს შემთხვევა გადატანილია ხვალისათვის.



ორი იმერელი:
- სად მიდიხარ?
- გასვენებაში.
- ხო მშვიდობაა?


| გამომცემელი და მთავარი რედაქტორი | რედაქტორები: | დირექტორები: | რედაქციის მისამართი: | გაზეთი რეგისტრირებულია |
|---|---|---|---|---|
| ტარიელ ფუტკარაძე | მანანა ბაბიძე (დისკუსია), ლელა ხაჭაპურიძე (საზოგადოება) ეკა დადიანი (მეცნიერება), ონისე ბანძელაძე (ლიტერატურა), ილია ჭრელაშვილი (მხატვარი), გიორგი აფრიდონიძე (სხვადასხვა ამბები). | აკაკი ბაკურაძე, დავით ლომსაძე, კობა ცერცვაძე | ქუთაისი, კუპრაძის 32 ტელ.:(8-231) 2-16-03; (8-22) 22-15-87 მობ. 877-47-69-30 ელ. ფოსტა: kuji@posta.ge | ქუთაისის საქალაქო სასამართლოში № 12/5/ე-4818 |